



#N/A

01-01-00

-

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები/ Sözleşmenin Önemli Şartları	
საკრედიტო ხელშეკრულება/Kredi Sözleşmesi	
ბიზნეს სესხი / Biznes Kredisi	
კრედიტის საპროცენტო განაკვეთი / Kredi Faiz Oranı	
• კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთის ტიპი • Kredi Yıllık Faiz Oranı	ფიქსირებული / Sabit
• კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი /Kredi Yıllık Faiz Oranı	0.00%
• კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი / Kredi Efektif Faiz Oranı	0.00%
ფინანსური ხარჯები / Mali Giderler	
• დაზღვევის ღირებულება (სრულ პერიოდზე) • Sigorta bedeli (tam dönem için)	
- კრედიტის გაცემის საკომისიო / Kredi Verme Komisyonu	0 0
- ქონების ღირებულების შეფასების ხარჯი/Mülkiyet Değerinin Değerlendirilme Maliyeti	
- სანოტარო ხარჯი / Noterlik masrafı	
- საჯარო რეესტრის ან/და მომსახურების სააგენტოს ხარჯი / Tapu Sicil Kayıt Dairesi ve/veya Hizmet Ajansı masrafı	
- იპოთეკით დატვირთვის ხარჯი / İpotek Kayıt Masrafı	
- იპოთეკის მოხსნის ხარჯი/ İpotek İptal Masrafı	
- თანხის განაღდების საკომისიო/ Tutarın Nakde Çevrilmesi Komisyonu	
• ყოველთვიური შენატანები (ძირითადი თანხა + პროცენტი) • Aylık taksitler (ana para + faiz)	
• ვადის ბოლოს შენატანი / Dönem sonu ödeme	() ლარი / () GEL
სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია / Diğer Sözleşme Bilgileri	
• კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა • Kredinin Toplam Miktarı	0 () ლარი / 0 () GEL
• გასატანი თანხის ოდენობა (ფინანსური ხარჯების გამოკლებით) / Kullandırılacak tutar (mali giderler hariç)	
• კრედიტის ვადა / Kredi süresi	0 () თვე / 0 () ay

<p>• საკრედიტო ხელშეკრულების ვადა / Kredi sözleşmesinin süresi</p>	<p>ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და წყვეტს მოქმედებას მსესხებლის მიერ ბანკის წინაშე ნაკისრი საკრედიტო ვალდებულებათა (მათ შორის მიღებული საბანკო კრედიტის, დარიცხული პროცენტის, მომსახურების საკომისიოს, საურავი/პირგასამტეხლოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სრული და ჯეროვანი შესრულებით. Sözleşme imzalandığı an itibarıyla yürürlüğe girer ve kredi müşterisi tarafından bankaya olan kredi yükümlülüklerini (kredi tutarı, faiz, hizmet bedeli, vaiz faiz/ceza dahil) tam ve gereği gibi yerine getirildikten sonra sona erdirir.</p>
<p>• კლიენტის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა / Kredi müşterisi tarafından ödenecek toplam tutar</p>	
<p>• სესხის წინასწარი დაფარვის საკომისიო (წინსწრებით დაფარული ძირითადი თანხის) / Kredinin önceden kapatma komisyonu (önceden kapatılan ana paranın)</p>	<p>ა) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 12 თვემდე, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0.5%-ისა; / kredinin kapatılmasına 6 aydan 12 aya kadar bir sürenin kaldığı durumunda, ödeme anında kredinin kalan ana paranın en fazla % 0,5'i,</p> <p>ბ) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 12-დან 24 თვემდე, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 1%-ისა; / kredinin kapatılmasına 12 aydan 24 aya kadar bir sürenin kaldığı durumunda, ödeme anında kredinin kalan ana paranın en fazla % 1'i,</p> <p>გ) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 2%-ისა. / kredinin kapatılmasına 24 aydan fazla bir sürenin kaldığı durumunda, ödeme anında kredinin kalan ana paranın en fazla % 2'si.</p>

<ul style="list-style-type: none"> • ვადაგადაცილების ჯარიმა - ვადაგადაცილებული ძირითადი თანხის • Gecikme Cezası – Geciken ana paranın 	<p>ვადაგადაცილებული ძირითადი თანხის 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, არაუმეტეს ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27%-სა, ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას. / Vadesi geçen her gün için ödenmemiş anapara tutarının % 0.5'i, ödenmemiş anapara tutarının % 0,27'sinden fazla olmamak üzere, ancak, gecikmenin başlangıcından, tamamen ortadan kaldırılmasına kadar, geçen dönemde yapılan harcamaların toplam tutarı, mevcut anapara tutarının 1,5 katını aşamaz.</p>
<p>საპროცენტო განაკვეთის და/ან ხელშეკრულების სხვა პირობების ცვლილების შემთხვევაში მომხმარებლის ინფორმირება მოხდება წერილობით / ელექტრონული ფოსტით / ინტერნეტბანკით/ მოკლე ტექსტური შეტყობინებით.</p> <p>Faiz oranı ve/veya sözleşmenin diğer şartlarında değişikliklerin yapılması durumunda müşteriye bu bilgiler yazılı/elektronik posta /internet bankacılığı / SMS yoluyla verilecektir.</p>	
<p>მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ფინანსური ორგანიზაციის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.</p> <p>Müşteri itirazını finansal kurumun şikayet bölümüne sözlü, yazılı, standart yazılı veya elektronik şekilde açıklayabilir.</p>	
<p>ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობები, კერძოდ: პროდუქტის პირობები (ვადა, პროცენტი), მომსახურების პირობები, მომსახურების საკომისიოები, კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების გზები.</p> <p>Banka, İş bu sözleşme şartlarını, örneğin, ürün şartları (vade, faiz), hizmet şartları, hizmet komisyonu, müşteriye bilgilendirme yöntemleri tek taraflı değiştirme yetkisine sahiptir.</p>	
<p>ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში – არანაკლებ ერთი თვით ადრე წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ ინტერნეტბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით. /</p> <p>Sözleşme şartlarında önemli bir değişiklik olması durumunda değişiklikten en az 2 (iki) ay önce, başka bir finansal ürünün fiyat artışı durumunda - en az 1 (bir) ay önceden yazılı / e-posta / İnternet Bankacılığı / kısa metin mesajı ile müşteri bilgilendirilecektir.</p>	
<p>ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერ დავას მხარეები საბოლოოდ გადასაწყვეტად გადასცემენ არბიტრაჟს მე-7 მუხლის შესაბამისად/İşbu sözleşmeye istinaden meydana gelen davalar son karara bağlanması maksadıyla sözleşmenin 7'nci maddesine dayanarak Arbitraja teslim edilecektir.</p>	
<p>ბანკის წინაშე ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებზე მსესხებელი პასუხისმგებელია მთელი თავისი ქონებით (იხ. მუხლი 3.21)/Bankaya karşı işbu sözleşmeye istinaden yüklenmiş olduğu yükümlülüklerle ilgili Müşteri sahip olduğu tüm malvarlığıyla sorumludur. (Bakınız madde 3.21.)</p>	
<p>გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას</p> <p>საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა - www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე - 32 2406-406</p> <p>Tüketici haklarına ilişkin bilgiler Gürcistan Merkez Bankası'nın internet sitesinden temin edilebilmektedir.</p> <p>www.nbg.gov.ge/cp iletişim Telefon - 32 406 406</p>	



საკრედიტო ხელშეკრულება / Kredi Sözleşmesi

#N/A

01-01-00

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები / Sözleşme Tarafları:

ერთის მხრივ - ბანკი / Banka	სააქციო საზოგადოება „ზირაათ ბანკი საქართველო“ / ZİRAAT BANKASI GÜRCİSTAN A.Ş.
წარმომადგენელი /Temsilcisi	#N/A
მისამართი / Adres	ქ.თბილისი, სანაპიროს ქ. N6 / Sanapiro Sok. N6, Tiflis
ს/ნ. / V/K	404534170
ტელეფონი / ფაქსი Tel/ Fax	2 2943714

მეორეს მხრივ - მსესხებელი Kredi Müşterisi	-
პირადი ანდა საიდენტიფიკაციო ნომერი Kimlik V/K No	-
წარმომადგენლის შესახებ დამატებითი ინფორმაცია / Temsilci Hakkında Ek Bilgiler	-
მისამართი / Adres	-
ტელეფონი/მობილური / Tel /FAX	-
ელ-ფოსტა/ E-mail	-
ინფორმირების წესი / Bilgilendirme kuralı	ბანკი მომხმარებლის ინფორმირებას ახდენს მომხმარებლის მიერ წარდგენილი საკონტაქტო მონაცემების საშუალებით. / Banka, kredi müşterisine bilgileri kredi müşterisi tarafından verilen iletişim bilgileri vasıtasıyla verir.

ერთობლივი სურვილის შესაბამისად ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:	Gürcistan Yasaları gereğince, iki taraf arasında yapılan sözleşme konusu aşağıdaki gibidir
1. ტერმინთა განმარტება	1. Tanımlar
1.1. ბანკი - სააქციო საზოგადოება „ზირაათ ბანკი საქართველო“	1.1. Banka - ZİRAAT BANKASI GÜRCİSTAN A.Ş.
1.2. მომხმარებელი - მსესხებელი	1.2. Müşteri - Kredi Müşterisi

<p>1.3. მსესხებელი - რეზიდენტი ან არარეზიდენტი პირი (კლიენტი ან/და მომხმარებელი), რომელიც სარგებლობს ბანკის საბანკო და/ან საკრედიტო პროდუქტების მომსახურებით.</p>	<p>1.3. Kredi Müşterisi – Banka tarafından verilen krediyi kullanan yerleşik veya yerleşik olmayan tüzel ve/veya gerçek şahıs,</p>
<p>1.4. ხელშეკრულება - ბანკთან გაფორმებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს ბანკსა და მსესხებელს შორის საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების ძირითად პირობებსა და პარამეტრებს.</p>	<p>1.4. Sözleşme – Banka ile kredi Müşterisi arasında kredi hizmet şartlarını ayarlayan genel sözleşme ve ona bağlı olarak yapılan diğer sözleşmeler,</p>
<p>1.5. საბანკო კრედიტი - წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მსესხებლისთვის სასყიდლიანი კრედიტის მიცემა სესხის ფორმით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.</p>	<p>1.5. Kredi- Gürcistan Yasaları gereğince, Banka ile kredi Müşterisi arasında yapılan kredi sözleşmesine dayanarak, borç olarak kullanılan tutar,</p>
<p>1.6. საპროცენტო განაკვეთი - საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფიქსირებული ან ინდექსირებული წლიური საპროცენტო განაკვეთი ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდის მანძილზე.</p>	<p>1.6. Faiz Oranı – Kredi Sözleşmesi gereğince tespit edilen ve sözleşme süresi içerisinde geçerli sabit veya değişken olarak uygulanabilecek olan faiz oranı,</p>
<p>1.7. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი – საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ფიქსირდება ხელშეკრულებაში და უცვლელია ხელშეკრულების მოქმედების სრული პერიოდის მანძილზე ან რომლის ცვლილება შესაძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცალკეული გარემოებების, გარდა საჯარო ინდექსის ცვლილების გარემოებისა, დადგომის შემთხვევაში. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებად არ მიიჩნევა ხელშეკრულებაში წინასწარ განსაზღვრული პირობების შესაბამისად მსესხებლის ქმედებასთან დაკავშირებული გარემოების დადგომიდან გამომდინარე საპროცენტო განაკვეთის ავტომატური ცვლილება;</p>	<p>1.7. Sabitlenmiş faiz oranı – İş bu sözleşmede belirtilen ve sözleşmenin geçerliliği süre içerisinde değişmeyen faiz oranı. Söz konusu faiz oranı, sözleşme gereğince belirlenen durumlarda veya piyasada genel olarak faiz oranının değişmesi halinde değiştirilebilir. Müşterinin, sözleşme nezdindeki şartlara aykırı olarak davranması neticesinde, faiz oranının değişmesi durumunda, faiz oranı değişmiş olarak sayılmaz.</p>
<p>1.8. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი – საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ფიქსირდება ხელშეკრულებაში და უცვლელია ხელშეკრულების მოქმედების სრული პერიოდის მანძილზე ან რომლის ცვლილება შესაძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცალკეული გარემოებების, გარდა საჯარო ინდექსის ცვლილების გარემოებისა, დადგომის შემთხვევაში. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებად არ მიიჩნევა ხელშეკრულებაში წინასწარ განსაზღვრული პირობების შესაბამისად მსესხებლის ქმედებასთან დაკავშირებული გარემოების დადგომიდან გამომდინარე საპროცენტო განაკვეთის ავტომატური ცვლილება;</p>	<p>1.8. Sabitlenmiş faiz oranı – İş bu sözleşmede belirtilen ve sözleşmenin geçerliliği süre içerisinde değişmeyen faiz oranı. Söz konusu faiz oranı, sözleşme gereğince belirlenen durumlarda veya piyasada genel olarak faiz oranının değişmesi halinde değiştirilebilir. Müşterinin, sözleşme nezdindeki şartlara aykırı olarak davranması neticesinde, faiz oranının değişmesi durumunda, faiz oranı değişmiş olarak sayılmaz.</p>
<p>1.9. ფინანსური ხარჯი – ხარჯი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მოთხოვნილია ბანკის მიერ და წარმოადგენს მომხმარებლის მიერ საკრედიტო პროდუქტის მიღების, შენარჩუნებისა და დახურვისათვის გასაწევ აუცილებელ ხარჯს.</p>	<p>1.9. Mali gider –Banka tarafından istenilen, müşterinin kullanacağı kredi ürünü ile ilgili tüm masraflar.</p>
<p>1.10. კრედიტის მთლიანი თანხა – საკრედიტო ხელშეკრულებით დადგენილი მთლიანი მისაღები თანხის მაქსიმალური შესაძლო ოდენობა;</p>	<p>1.10. Kredi toplam miktarı – Kredi Sözleşmesi gereğince kullanılacak kredi miktarı.</p>
<p>1.11. საბანკო პროდუქტი - სხვადასხვა სახის საბანკო მომსახურება, რომელსაც მსესხებელს სთავაზობს ბანკი;</p>	<p>1.11. Kredi Hizmeti (Ürünler) – Banka tarafından Müşteriye kullanılan kredi</p>
<p>1.12. ნაღდი ანგარიშსწორების ფასი – დაკავშირებული საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმების დროს საქონლის/მომსახურების ფასი, რომელსაც დაკავშირებული საკრედიტო ხელშეკრულების მონაწილე მომხმარებელი გადაუხდის საქონლის მიმწოდებელს საკუთარი სახსრებით ანგარიშსწორების შემთხვევაში ბანკის კრედიტის გამოყენების გარეშე;</p>	<p>1.12. Nakit ödeme fiyatı – İlgili Kredi Sözleşmesinin yapıldığı esnada, ilgili sözleşmenin taraflarından birisinin diğerine, kredi kullanmaması halinde ödeyeceği malın/hizmetin fiyatı.</p>

1.13. ხელშეკრულების თავსართი – ხელშეკრულების ნაწილი, რომელიც წინ უსწრებს ხელშეკრულების ყველა სხვა ნაწილს/დებულებას და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;	1.13. Sözleşmenin Ön Sayfası – Sözleşmenin ayrılmaz parçasıdır.
1.14. მხარეები - ბანკი და მსესხებელი ერთად.	1.14. Taraflar – Banka ve Müşteriler.
2. ხელშეკრულების საგანი	2. Sözleşme Konusu
2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით (შემდგომში “ხელშეკრულება”) გათვალისწინებული პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად ბანკი იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით მსესხებელს მისცეს საბანკო კრედიტი, ხოლო მსესხებელი იღებს ვალდებულებას, დააბრუნოს მიღებული საბანკო კრედიტი, გადაიხადოს მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი, პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ხარჯი და სრულად შეასრულოს ხელშეკრულებით დადგენილი სხვა ვალდებულებები.	2.1.İş bu sözleşme nezdinde(Bundan sonra sözleşme olarak anılacaktır.) öngörülen şartlar gereğince, Banka Müşteriye, sözleşme nezdinde belirlenen süre içerisinde kredi vermekle yükümlüdür, diğer tarafta Müşteri, kullandığı krediyi ödemek, tahakkuk ettirilen faiz, ceza(Olması durumunda) ve iş bu sözleşme
3. კრედიტის პირობები / Kredi Şartları	
3.1. კრედიტით სარგებლობის ვადა / Kredi Süresi	0 (ი) თვე / 0 () ay
3.2. საკრედიტო თანხის მთლიანი მოცულობა /Kredi Toplam Miktarı	0 (ი) ლარი / 0 () GEL
3.3. პერიოდულობა (გატანის თარიღები) / Kredinin Kullandırımı	ერთჯერადი / defaten
3.4. გატანების რაოდენობა, იმ შემთხვევაში თუ არ ხდება კრედიტის ერთჯერადად გაცემა, გასატანი თანხის ოდენობა Kredi Kullandırımı Defaten Değil ise Kaç Aşamada Kullandırılacağı	
3.5. ყოველთვიური შენატანები (ძირითადი თანხა + პროცენტი) Aylık taksitler (ana para + faiz)	
3.6. ვადის ბოლოს შენატანი / Dönem sonu ödeme	(ი) ლარი / () GEL
3.7. კლიენტის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა / Kredi müşterisi tarafından ödenecek toplam tutar	
3.8. კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთის ტიპი Kredinin yıllık faiz oranı türü	ფიქსირებული / Sabit
3.9. წლიური საპროცენტო განაკვეთი / Yıllık Faiz Oranı	0.00%
3.10. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი / Kredi Efektif Faiz Oranı	0.00%
3.11. კრედიტის მიზნობრიობა / Kredi Amacı	სამომხმარებლო სესხი / Tüketici kredisi
3.12. კრედიტის დასაფარად შენატანების ოდენობა / სიხშირე / შენატანების განხორციელების მაქსიმალური ვადები / საერთო რაოდენობა / Kredi kapatılması için yapılan taksitlerin miktarı/ sıklığı/ taksitlerin yapılacağı maksimum vadeler/ toplam miktar	* დეტალურად მითითებულია გადახდის გრაფიკში / Ödeme grafiğinde detaylı bir şekilde belirtilmiştir.
კრედიტის გაცემასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯები Kredi Kullandırılmasına ilişkin mali giderler	
3.13. კრედიტის გაცემის საკომისიო / Kredi Verme Komisyonu	0 0
3.14. სადაზღვევო ხარჯი (ასეთის არსებობისას) / Sigorta Masrafları	
3.15. ვალუტის კურსი (ხელშეკრულების ხელმოწერის დღე) Döviz Kuru (Sözleşmenin imzalandığı gün)	
სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია / Kredi Kullanmasına ilişkin Mali Giderler	

<p>3.16. პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული ძირი თანხიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე / vadesi geçmiş ana paradan her geçtiği gün için</p>	<p>ვადაგადაცილებული ძირი თანხის 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, არაუმეტეს ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27%-სა, ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადაჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას. / Vadesi geçen her gün için ödenmemiş anapara tutarının % 0.5'i, ödenmemiş anapara tutarının % 0,27'sinden fazla olmamak üzere, ancak, gecikmenin başlangıcından, tamamen ortadan kaldırılmasına kadar, geçen dönemde yapılan harcamaların toplam tutarı, mevcut anapara tutarının 1,5 katını aşamaz.</p>
<p>3.17. მსესხებლის უფლება კრედიტის წინასწარ დაფარვაზე Müşterinin krediyi önceden kapatma hakkının olup olmadığı</p>	<p>• გააჩნია / hakkı vardır</p>
<p>3.18. მსესხებლის მიერ კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის უფლების გამოყენების შემთხვევისას (ასეთი უფლების არსებობისას) წინსწრებით დაფარულ თანხებზე ბანკის სასარგებლოდ დასარიცხი პროცენტი (ხარჯი). / Müşteri tarafından kredinin önceden kapatılması durumunda (Olmaması halinde), önceden kapatılan miktar üzerinde bankanın lehinde tahakkuk ettirilen faiz (Masraf)</p>	<p>ა) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 12 თვემდე, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0.5%-ისა; / kredinin kapatılmasına 6 aydan 12 aya kadar bir sürenin kaldığı durumunda, ödeme anında kredinin kalan ana paranın en fazla % 0,5'i,</p>
<p>3.19. წინასწრების საკომისიოს და/ან პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება ბანკს არ აქვს, თუ:</p> <p>3.20. Banka, önceden kapatma komisyonu ve/veya gecikme cezası:</p>	<p>ბ) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 12-დან 24 თვემდე, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 1%-ისა; / kredinin kapatılmasına 12 aydan 24 aya kadar bir sürenin kaldığı durumunda, ödeme anında kredinin kalan ana paranın en fazla % 1'i,</p>
	<p>გ) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 2%-ისა. / kredinin kapatılmasına 24 aydan fazla bir sürenin kaldığı durumunda, ödeme anında kredinin kalan ana paranın en fazla % 2'si.</p>
	<p>წინასწრების საკომისიოს და/ან პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება ბანკს არ აქვს, თუ:</p> <p>ა) ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე პერიოდი;</p> <p>ბ) კრედიტის რეფინანსირება მთლიანად ან ნაწილობრივ ხდება იმავე ბანკის მიერ გაცემული ახალი კრედიტით;</p> <p>გ) კრედიტის წინსწრებით დაფარვა ხდება ბანკის მოთხოვნით;</p> <p>დ) კრედიტის წინსწრებით დაფარვა ან რეფინანსირება ხდება ბანკის მხრიდან საკრედიტო ხელშეკრულებებში შესატან ცვლილებებზე მსესხებლის მხრიდან დაუთანხმებლობის მიზეზით.</p> <p>Banka, önceden kapatma komisyonu ve/veya gecikme cezası</p> <ul style="list-style-type: none"> • kredinin kapatılmasına 6 aydan az süre kaldığı, • kredinin kısmen veya tamamen aynı banka tarafından kullanılmış yeni krediyle yeniden yapılandırılması, • Kredi banka isteği nezdinde önceden kapatıldığı, • Kredinin kredi sözleşmesinde banka tarafından yapılacak değişikliklerin kredi müşterisi tarafından kabul edilmemesi sebebiyle önceden kapatılması veya yeniden yapılandırılması durumunda isteme yetkisine sahip değildir.
<p>3.21. კრედიტზე საშეღვათო პერიოდის არსებობისას, კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში: Kredinin ödemesiz dönemde kullanılması, kredinin vadesinden önce kapatılması durumunda:</p>	<p>დამატებით მოხდება საშეღვათო პერიოდის განმავლობაში დარიცხული პროცენტის დაფარვა.</p> <p>İlaveten ödemesiz dönem içerisinde tahakkuk ettirilen faiz kapatılacaktır.</p>

3.22. დამატებითი პირობები / Ek Şartlar	ა) კრედიტის ვადაზე ადრე სრულად/ნაწილობრივ დაფარვისათვის საჭიროა მომხმარებელმა წინასწარ მოახდინოს ბანკის ინფორმირება. / Kredinin vadesinden önce tamamen/kısmen kapatılması için kredi müşterisi tarafından bankaya önceden bilgi verilmesi gerekmektedir.
3.23. ბანკი მსესხებელზე გასცემს კრედიტს წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ მის ანგარიშზე საკრედიტო თანხის ჩარიცხვის გზით.	3.23. Banka tarafından iş bu sözleşmenin yürürlüğe girmesini müteakip Müşterinin ilgili hesabına yatırılarak kredi kullanırımı gerçekleştirilir.
3.24. კრედიტის და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის თავისდროულად დაუბრუნებლობისას, კრედიტის დაფარვის გრაფიკის დარღვევისას, მსესხებელს საკრედიტო დავალიანებაზე დაერიცხება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო (საურავი).	3.24. Kredi miktarı üzerinden tahakkuk ettirilen faizin zamanında ödenmemesi halinde ve kredi grafiğinin bozulması durumunda, Müşterinin kredi borcu üzerine sözleşme gereğince belirlenen ceza eklenir.
3.25. მსესხებელი საკრედიტო ვალდებულებებს შესრულებს ბანკთან შეთანხმებული გადახდის გრაფიკის დაცვით.	3.25. Müşteri, kredi borcunu, Banka ile anlaştığı kredi grafiğine göre öder.
3.26. კრედიტის გადახდის გრაფიკი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.	3.26. Kredi grafiği, iş bu sözleşmenin ayrılmaz bir parçasıdır.
3.27. კრედიტის წინსწრებით ნაწილობრივ დაფარვის შემთხვევაში, თუ იფარება კრედიტის საწყისი ძირითადი თანხის მინიმუმ 20%, არანაკლებ 500 ლარის ოდენობით, მსესხებლის მოთხოვნის შემთხვევაში ბანკი მას შესთავაზებს ახალი გრაფიკის მინიმუმ შემდეგ ალტერნატივებს: ა) ნარჩენი ძირითადი თანხის განაწილებას იმავე პერიოდზე ყოველთვიური შენატანების შემცირების გზით; ბ) ყოველთვიური შენატანის იმავე ოდენობის პირობებში დარჩენილი პერიოდის შემცირებას.	3.27. Kredinin önceden kısmen kapatılması durumunda, kredinin ilk ana parasının en az %20'sinin en az 500 GEL olmak şartıyla kapatılması zamanına kredi müşterisinin istendiğinde Banka tarafından aşağıda açıklanan alternatifleri kapsayan yeni bir ödeme grafiği düzenlenecektir: a. Kalan ana paranın aynı periyoda aylık taksitlerin azaltarak bölmesi, b. Aylık taksitlerin aynı miktarda kalarak kalan sürenin azaltarak,
3.28. ბანკის წინაშე ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებზე მსესხებელი პასუხისმგებელია მთელი თავისი ქონებით. ამასთან, როდესაც იპოთეკით ან/და გირავნობით დატვირთული უძრავ/მოდრავი ნივთის (სესხის უზრუნველყოფის საშუალების) რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის უზრუნველყოფილი მოთხოვნის სრულად დასაფარავად, ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს მსესხებლის და/ან თავდების საკუთრებაში არსებული ნებისმიერი უძრავ-მოდრავი ქონების რეალიზაცია დარჩენილი დავალიანების დაფარვის მიზნით.	3.28. Müşteri, Bankaya karşı işbu sözleşmeye istinaden yüklenmiş olduğu yükümlülüklerle ilgili sahip olduğu tüm malvarlığıyla sorumludur. İpotek ve/veya Rehin koyduğu –menkul/gayrimenkulün satışa çıkarılmasında sonda elde edilen tutar yeterli olmaması durumunda Banka, kredi müşterisi ve/veya kefilin sahip olduğu başka menkul/gayrimenkulü kalan kısmının kapatılması için satışa çıkarabilme yetkisine sahiptir.
4. კრედიტის დასაფარად შენატანების ოდენობა, სიხშირე, შენატანების განხორციელების მაქსიმალური ვადები, საერთო რაოდენობა, შენატანებით არსებული ვალდებულების (დავალიანების) დაფარვის რიგითობა.	4. Kredi kapatılması için yapılan taksitlerin miktarı/ sıklığı/ taksitlerin yapılacağı maksimum vadeler/ toplam miktar, taksitlerle borcun kapatılması açısından yapılan tahsilatın sıralaması
4.1. კრედიტის დასაფარად შენატანების ოდენობა დადგენილია გადახდის გრაფიკის მიხედვით;	4.1. Kredi kapatılması için yapılan taksitlerin miktarı ödeme grafiğine göre belirlenmiştir.
4.2. კრედიტის დაფარვის სიხშირე დადგენილია გადახდის გრაფიკის მიხედვით;	4.2. Kredi kapatılması sıklığı ödeme grafiğine göre belirlenmiştir.
4.3. კრედიტის დაფარვის შენატანების განხორციელების მაქსიმალური ვადები დადგენილია გადახდის გრაფიკის მიხედვით;	4.3. Taksitlerin yapılacağı maksimum vadeler ödeme grafiğine göre belirlenmiştir.
4.4. კრედიტის დასაფარად შენატანების რაოდენობა დადგენილია გადახდის გრაფიკის მიხედვით;	4.4. Taksitlerle borcun kapatılması amacıyla yapılan tahsilatı sırası:
4.5. საკრედიტო ვალდებულების დასაფარად (შესასრულებლად) შემოტანილი ანდა მსესხებლის ანგარიშზე ჩარიცხული თანხებით მსესხებლის დავალიანების დაფარვის რიგითობა;	4.5. Kredinin kapatılması için (yükümlülüklerin yerine getirilmesi) ödenmiş ve/veya kredi müşterisi hesabına yatırılan tutarla kredi müşterisinin borcunun kapatılması sırası,
4.5.1. კრედიტის გაცემასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯები;	4.5.1. Kredi verilmesine ilişkin mali giderler,
4.5.2. კრედიტზე დარიცხული ვადაგადაცილების საურავი/ჯარიმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);	4.5.2. Vadesi gecikmiş tutar üzerinde tahakkuk ettirilen günlük ceza miktarı (Mevcut olması durumunda),

4.5.3. წინსწრების პროცენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);	4.5.3. Önceden kapatma faizi (Mevcut olması durumunda),
4.5.4. სადაზღვევო თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);	4.5.4. Sigorta Masrafları (olması durumunda),
4.5.5. კრედიტზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი;	4.5.5. Kredi üzerinde tahakkuk ettirilen faiz,
4.5.6. კრედიტის ძირითადი თანხა;	4.5.6. Kredi ana parası,
4.6. ბანკის შეხედულებით, ხსენებული რიგითობა შეიძლება შეიცვალოს.	4.6. Bankanın görüşüne göre yukarıda belirtilen tahsil sıralanması bozulabilir.
4.7. იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებლის მიერ კრედიტის დასაფარად ბანკში თანხის შეტანის დღე ემთხვევა უქმე დღეს, მსესხებლისგან შენატანი მიიღება მომდევნო სამუშაო დღეს. აღნიშნული გარემოება არ ჩაითვლება ვადაგადაცილებად და მსესხებელს დამატებით არ დაერიცხება დამატებითი პირგასამტეხლო.	4.7. Müşteri tarafından kredi taksitinin ödendiği gün tatil gününe denk gelmesi durumunda, müşteri taksitini ertesi gün ödeyebilir. Söz konusu durum vadeden geçmek olark sayılmaz ve ceza tahakkuk ettirilmaz.
5. ფინანსური ხარჯები	5. Mali Giderler
5.1. ფინანსური ხარჯი არის ხარჯი, რომელიც გაითვალისწინება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში და რომელიც გადასახდელია მომხმარებლის მიერ და პირდაპირ ან არაპირდაპირ მოთხოვნილია ბანკის მიერ და წარმოადგენს აუცილებელ პირობას საბანკო პროდუქტის შეძენის, შენარჩუნებისა და დახურვისათვის, მათ შორის:	5.1. Mali giderler, efektif faiz oranının hesaplanmasında öngörülen, Banka tarafından Müşterinin ödemesini talep edilen ve kredinin kullanılması ve kapatılması için ödenmesi gereken masraflar:
5.1.1. საპროცენტო ხარჯები/შენატანები;	5.1.1. Faiz giderleri/taksitler,
5.1.2. მომსახურებაზე დაწესებული გადასახდელები;	5.1.2. Hizmet üzerinde tespit edilen masraflar,
5.1.3. ტრანზაქციის და საკომისიოს ხარჯები;	5.1.3. Transfer ve komisyon masrafları,
5.1.4. აუცილებელი დაზღვევის ხარჯები;	5.1.4. Sigorta masrafları,
5.1.5. ქონების ღირებულების შეფასების ხარჯები;	5.1.5. Mal değerlendirme masrafları,
5.1.6. გადასახდელები, რომელსაც მსესხებელი უხდის მესამე პირს პროდუქტის დახურვის დროს, თუ ეს წარმოადგენს მომხმარებლის მიერ საკრედიტო პროდუქტის დახურვის და ხელშეკრულებამდე არსებული უფლებების აღდგენისათვის აუცილებელ პირობას;	5.1.6. Müşteri tarafından, kredi kapatılması esnasında, üçüncü kişiye ödenen masraflar (Müşteri tarafından kredi kapatılması ve sözleşme yapılmadan önceki hakların yenilenmesi için şart olması durumunda).
5.1.7. სხვა პროდუქტთან დაკავშირებული აუცილებელი გადასახდელები / შენატანები, თუ აღნიშნული პროდუქტით სარგებლობა წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას.	5.1.7. Diğer ürünlerle ilgili ödemeler/taksitler (Ürünün kullanılması sözleşme gereğince belirlenen yükümlülüğün olması durumunda)
5.2. ფინანსურ ხარჯებს არ მიეკუთვნება ის ხარჯები, რომელთა გადახდაც მსესხებლისთვის სავალდებულო იქნებოდა, იმ შემთხვევაშიც, თუ მსესხებელი კრედიტის გამოყენების გარეშე თავად განახორციელებდა საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის/მომსახურების შეძენას.	5.2. Mali giderler, Müşteri tarafından kredi kullanılmaması durumunda, kredi sözleşmesi gereğince öngörülen malın/hizmetin kendisince alındığında yapılması gereken masraflar, mali gider olarak sayılmaz.
5.3. ერთდროულად ერთზე მეტი მიმდინარე დავალიანების არსებობის შემთხვევაში, როდესაც მომხმარებლის ანგარიშზე განთავსებული თანხა არ არის საკმარისი ერთზე მეტი ვადამოსული/ვადაგადაცილებული ვალდებულების სრულად შესასრულებლად, მომხმარებელი უფლებამოსილია აირჩიოს დაფარვის რიგითობა.	5.3. Aynı anda birden fazla kredi borcunun olması durumunda, kredi müşterisi hesabındaki tutar birden fazla kredi borcunun/ geciken kredi borcunun tamamen kapatılması için yeterli olmadığı zaman, kredi müşterisi borcun kapatılması sırasının seçilmesi yetkisine sahiptir.
5.4. ერთდროულად ერთზე მეტი ვალდებულების არსებობისას, თუ მომხმარებლის მიერ არ მოხდება ამ ვალდებულებების დაფარვის რიგითობის არჩევა, მაშინ დაიფარება ის ვალი, რომლის გადახდის ვადაც პირველად დადგა.	5.4. Aynı anda birden fazla kredi borcunun olması durumunda, kredi müşterisi tarafından borcunun kapatılması sırasının seçilmediğinde ilk ödeme zamanı gelen kredi borcu kapatılacaktır.
5.5. თუ მოთხოვნათა შესრულების ვადა ერთდროულად დადგა, მაშინ თავდაპირველად უნდა შესრულდეს ის მოთხოვნა, რომელიც მოვალისათვის შესასრულებლად ყველაზე მძიმეა.	5.5. Kredi borcunun kapatılması zamanı aynı anda geldiğinde ilk önce kredi müşterisi için ödemesi açısından en ağır olan kredi borcu kapatılacaktır.

<p>5.6. თუ მოთხოვნები თანაბრად მძიმეა, თავდაპირველად უნდა შესრულდეს ის, რომელიც ყველაზე ნაკლებად არის უზრუნველყოფილი.</p>	<p>5.6. Kredi borcunun eşit olarak ağır olması durumunda ilk önce az teminatlı kredi borcu kapatılacaktır.</p>
<p>6. უზრუნველყოფა</p>	<p>6. Teminat</p>
<p>6.1. ხელშეკრულებით (მისი დანართებითა და დამატებებით) გათვალისწინებული მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულება უზრუნველყოფილია, როგორც მსესხებლის უძრავი და მოძრავი ქონება, ასევე მსესხებლის ან მესამე პირის საკუთრებაში არსებული მოძრავი/უძრავი ქონება და უზრუნველყოფის საშუალებებით (იპოთეკით, გირავნობით, თავდებობით და სხვ.)</p>	<p>6.1. Müşteri tarafından, sözleşme (EK'ler ve İlaveler) gereğince belirlenen yükümlülüklerin yerine getirilmesi açısından gösterilen teminat aşağıdaki gibidir: Müşterinin sahip olduğu mal, Müşterinin veya üçüncü şahsın sahip olduğu menkul ve gayrimenkul mal, kefalet veya diğer teminatlar,</p>
<p>6.2. მსესხებლის მიერ ბანკის წინაშე აღებული ვალდებულებების ნებისმიერი ნაწილობრივი ან მთლიანი დარღვევა, ან სხვა საფუძველზე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა ბანკს აძლევს საფუძველს, სასესხო ვალდებულებების დასაფარად მიმართოს შემდეგ საშუალებებს:</p> <p>6.2.1 მოითხოვოს სესხის მთლიანი თანხის, დარიცხული სარგებლის და პირგასამტეხლოს დაუყოვნებლივ გადახდა;</p> <p>6.2.2 გამოიყენოს მსესხებლის ვალდებულებების უზრუნველსაყოფად არსებული (ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებული) საშუალებები, მათ შორის იპოთეკის და გირავნობის საგნების რეალიზაცია;</p> <p>6.2.3 მიაქციოს გადახდევინება მსესხებლის და/ან თავდების საკუთრებაში არსებული ნებისმიერ უძრავ-მოძრავ ქონებაზე, არამატერიალურ აქტივებზე;</p> <p>6.2.4 მოახდინოს მსესხებლის საბანკო ანგარიშებიდან თანხების ჩამოჭრა, საჭიროებისას სესხის ვალუტაში კონვერტაცია;</p> <p>6.2.5 მიმართოს არბიტრაჟს დავის გადაწყვეტის მიზნით, მათ შორის გამოიყენოს სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიებები.</p>	<p>6.2. Müşterinin bankaya karşı yükümlülüklerinin kısmen veya tamamen ihlali veya sözleşmenin diğer gerekçelerle erken feshi, bankanın kredi borcunun geri ödenmesi için aşağıdaki yolları kullanmasına neden olur:</p> <p>6.2.1 Tam kredi tutarının, tahakkuk eden faizin ve cezanın derhal ödenmesini talep etmek;</p> <p>6.2.2 İpotek ve Taşınır Rehni da dahil olmak üzere borçlunun yükümlülüklerini güvence altına almak için (sözleşme veya kanunla sağlanan) mevcut mal varlıklarının satışını sağlamak;</p> <p>6.2.3 Müşterinin ve/veya Mütessesil kefilin sahip olduğu herhangi bir taşınır, taşınmaz ve maddi olmayan mar varlığının borçun kapatılması için kullanılması;</p> <p>6.2.4 Müşterinin banka hesaplarından paranın tahsil edilmesi, gerektiğinde hesaplardaki parayı kredinin para birimine konvertasyon yaparak;</p> <p>6.2.5 Talebi güvence altına almak için önlemler uygulamak da dahil olmak üzere, Anlaşmazlığı çözmek için tahkime başvurmak.</p>
<p>6.3. მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების ან საკრედიტო ვალდებულების უზრუნველყოფის საგნის განადგურების, მისი ღირებულების შემცირების, გაუფასურების ან დაზიანების შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია წარუდგინოს ბანკს ბანკისათვის მისაღები დამატებითი უზრუნველყოფის საშუალება და გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება შესაბამისი გარემოების წარმოშობიდან არაუგვიანეს 14 დღისა . აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა, საფუძველია წინამდებარე და მის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისა.</p>	<p>6.3. Müşterinin finansal durumunun kötüleşmesi veya kredi teminatının değerinin azalması veya bozulması, herhangi bir nedenle ortadan kalkması durumunda, borçlu, ilgili durumların ortaya çıkması anından itibaren en geç 14 gün içinde, Müşteri, Bankanın uygun gördüğü ek teminatı göstermek ve ilgili sözleşmeyi yapmakla yükümlüdür. Müşteri tarafından söz konusu yükümlülüğün yerine getirilmemesi, iş bu sözleşmenin ve ilgili alt sözleşmelerinin Banka tarafından tek taraflı olarak vadeden önce feshinin gerekçesi olarak sayılacaktır.</p>
<p>6.4. მსესხებელი ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით წინასწარ აცხადებს თანხმობას თავდებმა პირმა, იპოთეკის და გირავნობის საგნის მესაკუთრემ თავად დაფაროს ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული უზრუნველყოფილი კრედიტი, მათ შორის ვადის დადგომამდე წინსწრებით.</p>	<p>6.4. Müşteri bu sözleşmeye imza atarak kefil tarafından (ipotek ve rehin konusu olan gayrimenkulün sahibi), işbu sözleşmeye istinaden kullanırılmış kredinin kapatılmasını (vadeden önce dahil olmak üzere) beyan ve kabul eder.</p>
<p>6.5. მსესხებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგები მოცემულია უზრუნველყოფის შესახებ ხელშეკრულებაში (იპოთეკა/გირავნობა/თავდებობა და სხვ. (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო აღსრულება ხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული იძულებითი ღონისძიებებით.</p>	<p>6.5. Kredi müşterisi tarafından yüklenmiş olduğu yükümlülüklerin yerine getirilmemesi durumunda meydana gelebilecek sonuçlar teminat hakkında sözleşmede (İpotek/Rehin/Kefil ve başka)(olması durumunda) yer almakta olup icrası kanunla belirlenmiş zorunlu tedbirlerle yapılır.</p>
<p>7. მსესხებლის გარანტიები და განცხადებები</p>	<p>7. Beyanlar</p>
<p>7.1. მსესხებელი იძლევა გარანტიას და აცხადებს რომ:</p>	<p>7.1. Müşteri,</p>

<p>7.1.1. ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე თანახმა მიიღოს ბანკის მიერ გამოგზავნილი ყველანაირი შეტყობინება (გზავნილი). ყველა შეტყობინება, რაც გაიგზავნება (მიუხედავად მისი ჩაბარებისა ან და ჩაბარებაზე უარის თქმისა) ბანკის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ მსესხებლის მისამართზე, ჩაითვლება მის მიერ მიღებულად;</p>	<p>7.1.1. Sözleşmenin yapıldığında bulunduğu adresin gerçekten sözleşmede belirttiği adres olduğunu, Banka tarafından, sözleşmede belirtilen adrese gönderilen her türlü mesajların (Müşteri tarafından alınıp alınmamasına rağmen) tebdil edilmiş sayılacağını,</p>
<p>7.1.2. ხელშეკრულების დადებისას არ იმყოფება შეცდომაში, მოტყუების, მის წინააღმდეგ გამოყენებული ძალადობის ან მუქარის გავლენის ქვეშ, არ აქვს ადგილი მსესხებლის წინააღმდეგ წინასწარგანზრახულ ბოროტ შეთქმულებას ან მძიმე გარემოებების არსებობას;</p>	<p>7.1.2. Sözleşme yapıldığı anda herhangi bir baskı altında olmadığını, kandırılmış, aleyhine gerçekleştirilen komplo, gasp veya tehdide maruz kalmadığını,</p>
<p>7.1.3. მსესხებელმა ბანკს წარუდგინა მისი ფინანსური მოღვაწეობის განვლილი პერიოდებისა და ბოლო საანგარიშო პერიოდის შესაბამისი სრული და სარწმუნო ფინანსური ინფორმაცია;</p>	<p>7.1.3. Kendisinin Bankaya ibraz ettiği finansal faaliyetleri ile ilgili (Geçmiş ve son dönem) belgelerin doğru olduğunu,</p>
<p>7.1.4. გააჩნია ხელშეკრულების დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილება და შესაძლებლობები;</p>	<p>7.1.4. Sözleşmenin yapılması ve sözleşme şartlarının yerine getirilmesi için gerekli yetkiye ve imkanlara sahip olduğunu,</p>
<p>7.1.5. არ მონაწილეობს არც ერთ სასამართლო პროცესში (მოპასუხის, მოსარჩელის ან მესამე პირის სახით), რითაც საფრთხე ემუქრება ბანკის წინაშე ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას.</p>	<p>7.1.5. Bankaya karşı üstlenilen yükümlülüklerin yetine getirilmesi açısından engel olan herhangi bir davaya katılmadığını (Davalı, müşteki veya tanık olarak),</p>
<p>7.1.6. ბანკმა წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისას სრულად უზრუნველყო, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მსესხებელზე მიწოდებისას უტყუარი, გასაგები და გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი სრული ინფორმაციის დროული მიწოდება, რომელიც მას არ უზიძგებს ისეთი გადაწყვეტილების მიღებისაკენ, რომელსაც იგი არ მიიღებდა უტყუარი და სრული ინფორმაციის ფლობის პირობებში.</p>	<p>7.1.6. Banka, iş bu sözleşmenin yapıldığı esnada, Müşteriye sözleşme şartları hakkında, doğru bir karar alabilmesi için doğru bilgileri verdiğini,</p>
<p>7.1.7. ბანკმა სრულად უზრუნველყო წინამდებარე საბანკო პროდუქტის (კრედიტის) მახასიათებლების შესახებ ისეთი ინფორმაციის განცხადება და მიწოდება, რომელიც შეესაბამება სინამდვილეს და შეცდომაში არ შეყავს მსესხებელი.</p>	<p>7.1.7. Banka tarafından, kredi ürünlerinin özellikleri hakkında gerçek ve doğru bilgileri verdiğini,</p>
<p>7.1.8. ხელშეკრულების გაფორმებისას სრულყოფილად გაეცნო ხელშეკრულებას და ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობებს;</p>	<p>7.1.8. Sözleşme yapıldığında, sözleşme şartlarına dair bilgileri aldığını,</p>
<p>7.1.9. ხელშეკრულების გაფორმებისას სრულყოფილად გაეცნო ბანკის მიერ პრეტენზიების მიღების/განხილვის სტანდარტულ წერილობით პროცედურას;</p>	<p>7.1.9. Sözleşme yapıldığında, banka tarafından düzenlenen “Müşteri İtirazları” şartlarına dair bilgileri aldığını,</p>
<p>7.1.10. მსესხებლისთვის ცნობილია, რომ უცხოური ვალუტით აღებული სესხი მას მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს და სრულად გააზრებული აქვს ამ რისკის შედეგები; ასევე, ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული შენატანები მნიშვნელოვნად გაზარდოს. ხსენებულის გათვალისწინებით დამდგარი შედეგების მიხედვით ბანკის მიმართ პრეტენზიები არ ექნება;</p>	<p>7.1.10. Yabancı dövizle kullanılan kredinin önemli bir riskin doğmasına sebep olabileceğini ve risk sonuçları hakkında da bilgisi olduğunu, ayrıca, döviz kurunun değişmesi sonucunda, GEL olarak gerçekleştirilen taksit miktarının artabileceğini, yukarıda belirtilen sebeplerden dolayı Bankaya karşı herhangi bir itirazı olmayacağını,</p>
<p>7.1.11. ხელშეკრულების გაფორმებამდე გაეცნო კრედიტთან (ხელშეკრულებასთან) დაკავშირებულ ფინანსურ ხარჯებს და თანახმა გააფორმოს ხელშეკრულება მოცემული პირობების და ხარჯების გათვალისწინებით;</p>	<p>7.1.11. Sözleşme yapılmadan önce, kredi sözleşmesi ile ilgili mali giderleri hakkında bilgi aldığını ve tespit edilen şartlar ve masrafları göz önüne alarak sözleşme yapacağını,</p>
<p>7.1.12. ხელშეკრულების გაფორმებისას გაეცნო და მომავალშიც გაეცნობა მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – www.nbg.gov.ge/cp</p>	<p>7.1.12. Sözleşme yapıldığında, Gürcistan Merkez Bankasının web-sitesi olan www.nbg.gov.ge/cp ve acil bilgiler telefon hattı olan - 32 2 406406 numaralı telefondan bilgi aldığını ve gelecekte de bilgi alacağını,</p>

7.1.13. ხელშეკრულებაში, მის თავსართში და დანართებში მოცემული ინფორმაცია არის მისთვის გასაგებ ენაზე, ადვილად წაკითხვადია, აღქმადია ტექსტის შინაარსი და აღქმადია შრიფტის ზომა;	7.1.13. Sözleşmede, ön sayfasında ve eklerinde yer alan bilgilerin, kendisi için anlaşıldığı dilde ve fontla yazıldığı, ayrıca sözleşme metninin anlaşıldığı,
7.1.14. საჭიროების შემთხვევაში უარს არ იტყვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე და მისი პირობების შეცვლაზე ბანკის მოთხოვნების გათვალისწინებით.	7.1.14. Sözleşme şartlarının yerine getirilmesinden vazgeçmeyeceğini,
7.1.15. იმ შემთხვევაში, თუ სესხის უზრუნველყოფის საშუალების რეალიზაციით ამოღებული ამონაგები არ იქნება საკმარისი მთლიანი დავალიანების დასაფარად დამატებით უზრუნველყოფს სახსრების მოძიებას და დავალიანების სრულად დაფარვას.	7.1.15. Kredi teminatının satışa çıkarılması sonucunda, elde edilen paranın kredi borcunun kapatılması için gerekli olmadığı takdirde, diğer kaynakları araştıracağını ve kredi borcunu kapatacağını,
7.1.16. მის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში ბანკის მოთხოვნისთანავე ვადაზე ადრე დაფარავს არსებულ დავალიანებას.	7.1.16. Kendisince sözleşme şartlarının ihlal edilmesi durumunda, Bankanın talep ettiği anda, vadeden önce krediyi kapatacağını,
7.1.17. წინამდებარე ხელშეკრულებით ბანკს ანიჭებს უფლებამოსილებას ნებისმიერი მესამე პირისგან (სახელმწიფო და კერძო ორგანიზაცია, სსიპ, სამინისტრო, საგადასახადო ორგანო და სხვა) მიიღოს ყველანაირი მისთვის საჭირო ინფორმაცია, დოკუმენტები და კომენტარები მსესხებლის შესახებ.	7.1.17. İş bu sözleşme gereğince, Bankaya, üçüncü şahıslardan (Devlet ve özel kurumlar, bakanlar, vergi dairesi v.s.) Müşteri hakkında her türlü bilgi alma yetkisini verdiği,
7.1.18. წინამდებარე ხელშეკრულებით ბანკს ანიჭებს უფლებამოსილებას ნებისმიერი მესამე პირს (სახელმწიფო და კერძო ორგანიზაცია, სსიპ, სამინისტრო, საგადასახადო ორგანო და სხვა) გადასცეს სესხთან დაკავშირებული ყველანაირი ინფორმაცია, დოკუმენტები და კომენტარები მსესხებლის შესახებ.	7.1.18. İş bu sözleşme gereğince, Bankaya, üçüncü şahıslara (Devlet ve özel kurumlar, bakanlar, vergi dairesi v.s.) Müşteri hakkında her türlü bilgi verme yetkisini verdiği beyan ve taahhüt eder.
8. ბანკის მიერ მსესხებლისგან ინფორმაციის გამოთხოვა	8. Müşteriden Bilgi İstenmesi
8.1. ბანკს უფლება აქვს მსესხებლისაგან მიიღოს ყველანაირი საჭირო ინფორმაცია, დოკუმენტები და კომენტარები, როგორც კრედიტის მიზნობრივად გამოყენებაზე, ისე მსესხებლის ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის შესამოწმებლად.	8.1. Banka, Müşteriden, kredinin amacına uygun şekilde kullanılıp kullanmadığını ve Müşteri finansal durumunun kontrol edilmesi açısından, her türlü bir bilgi ve belgeyi isteme yetkisine sahiptir.
8.2. ბანკის მოთხოვნის საფუძველზე მსესხებელმა ბანკს უნდა წარუდგინოს ხელშეკრულების მეშვეობით ათვისებული კრედიტის მიზნობრივად გამოყენების (გახარჯვის) დამადასტურებელი დოკუმენტები, დაუშვას ბანკის წარმომადგენელი მის საკუთრებაში მყოფ შენობა-ნაგებობებში (საცხოვრებელი და საქმიანობის ადგილის მიხედვით), იპოთეკით დატვირთული ან/და დაგირავებული ქონების დათვალიერების მიზნით;	8.2. Bankanın talebi üzerine, Müşteri, sözleşme gereğince kullandığı kredinin amacına uygun şekilde harcadığını gösteren belgeleri ibraz etmek, teminat olarak gösterilen malı incelemek için, Banka temsilcisini faaliyet gösterdiği alana almak ile yükümlüdür.
8.3. მსესხებლის მიერ ხელშეკრულებ(ებ)ით ათვისებული თანხების მიზნობრივ გამოყენებას საჭიროების შემთხვევაში ამოწმებს ბანკი, შესაბამისად მსესხებელი ვალდებულია შექმნას და ბანკის მოთხოვნის საფუძველზე წარმოადგინოს ათვისებული თანხების მიზნობრივი გამოყენების კონტროლისა და ხელშეკრულებ(ებ)ის შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია. მსესხებლის მიერ ბანკში წარმოდგენილი წერილობითი ინფორმაციის სიზუსტეზე და უტყუარობაზე პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება მსესხებელს;	8.3. Müşteri tarafından kredinin amacına uygun şekilde kullanılıp kullanmadığını Banka temsilcisi kontrol eder. Müşteri, kredinin amacına uygun şekilde harcadığını gösteren belgeleri toplamak ve Bankaya ibraz etmekle yükümlüdür. Müşteri tarafından ibraz edilen belgelerin doğruluğundan kendisi sorumludur.
8.4. მსესხებელი ვალდებულია, შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტები ბანკს წარუდგინოს ასეთი მოთხოვნის გაკეთებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში, თუ ბანკის მოთხოვნაში სხვა ვადა არ არის დადგენილი; ვადის დარღვევა იწვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სანქციებს.	8.4. Müşteri, Banka tarafından gerekli evrakların talep edildiği tarihten itibaren 7 (Yedi) takvim günü içerisinde istenilen evrakları ibraz etmekle yükümlüdür (Bankanın talebinden farklı bir vadenin belirtilmemesi durumunda).

8.5. ბანკი უფლებამოსილია აცნობოს მსესხებელს ის ინფორმაცია, რაც ბანკის შეხედულებით, მსესხებლის მიერ ხელშეკრულებ(ებ)ის დარღვევას ან მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის ისეთ გაუარესებას ადასტურებს, რაც, საფრთხეს უქმნის ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას და მისცეს მას დრო აღნიშნული ინფორმაციის დასადასტურებლად ან უარსაყოფლად;	8.5. Banka tarafından, Müşterinin sözleşme gereğince üstlenilen yükümlülükleri yerine getirmesini engelleyen bir durumun ortaya çıktığının herhangi bir yoldan öğrenilmesi halinde(Müşterinin finansal durumunun kötüleşmesi), Müşteri uyarılarak Bankanın elindeki bilginin kabul veya reddedilmesi yönünde zaman verilir.
9. მოთხოვნები და შეზღუდვები	9. Talepler ve Kısıtlamalar
9.1. მხარეთა ნებაყოფლობითი შეთანხმებით, ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე მსესხებლის მიერ ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში მსესხებელს უფლება არა აქვს ბანკთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე:	9.1. Taraflar anlaşarak, sözleşme nezdinde Müşteri tarafından Bankaya karşı üstlenilen yükümlülüklerin geçerliliği süresi içerisinde, Müşteri Banka ile yazılı bir şekilde anlaşmadan,
9.1.1. იკისროს საკრედიტო ვალდებულებები მესამე პირ(ებ)ის (ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირის) წინაშე;	9.1.1. Üçüncü şahıs olan (Tüzel veya gerçek kişiler) lehine kredi yükümlülüğü üstlenme, kefil olmak,
9.1.2. იკისროს თავდებობა მესამე პირის ვალდებულებებზე;	9.1.2. Üçüncü şahıs olan lehine kredi yükümlülüğü üstlenme, kefil olmak,
9.1.3. აიღოს ან გასცეს კრედიტები;	9.1.3.Kredi Verme veya kredi alma,
9.1.4. ისარგებლოს სხვა საბანკო დაწესებულებ(ებ)ის და საკრედიტო კავშირ(ებ)ის ნებისმიერი საბანკო და საკრედიტო მომსახურებით;	9.1.4. Diğer Bankalardan kredi kullanma,
9.1.5. გახსნას საბანკო ანგარიშები სხვა საბანკო დაწესებულებებში;	9.1.5. Diğer Bankalarda hesap açma,
9.1.6. დააგირავოს საკუთარი ქონება;	9.1.6. Kendisine ait olan malı rehin olarak gösterme yetkisi bulunmamaktadır.
10. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები	10. Tarafların Yükümlülükleri
10.1. მსესხებელი ვალდებულია	Müşteri
10.1.1. დააბრუნოს მიღებული კრედიტი დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან ერთად თანახმად ხელშეკრულებისა;	10.1.1. Sözleşme nezdinde, kullandığı krediyi faizle beraber ödeyeceğini,
10.1.2. წინასწარ აცნობოს ბანკს თავისი ადგილსამყოფელის (მისამართის) შეცვლის და ახალ ადგილზე გადასვლის (ასეთის ასრულების შემთხვევაში) შესახებ, აღნიშნული ცვლილების განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა;	10.1.2. Bulunduğu adresin değişmesi durumunda, 10 takvim günü içerisinde Bankaya bildireceğini,
10.1.3. აცნობოს ბანკს მისი ფინანსურ და/ან ქონებრივ მდგომარეობაში მოსალოდნელი უარყოფითი ცვლილებების და ასევე იმ გარემოებათა შესახებ, რომლებმაც შეიძლება განაპირობონ ასეთი ცვლილებები, აღნიშნული გარემოებების განხორციელებამდე 10 კალენდარული დღით ადრე;	10.1.3. Finansal durumunun olası kötüleşmesi halinde, 10 takvim günü içerisinde Bankaya bildireceğini,
10.1.4. პირველივე მოთხოვნისთანავე აუნაზღაუროს ბანკს მისი ყველა დანახარჯი, რომელიც ბანკმა გასწია ხელშეკრულებ(ებ)ის იძულებით შესრულებისათვის;	10.1.4. Müşteri, Banka tarafından sözleşme şartlarının yerine getirilmesi için yapılan tüm masrafları karşılayacağını,
10.1.5. შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.	10.1.5. Sözleşme nezdinde öngörülen tüm yükümlülükleri yerine getireceğini kabul ve beyan eder.
10.2. ბანკი ვალდებულია:	10.2 Banka,
10.2.1. მსესხებელზე გასცეს საბანკო კრედიტი ხელშეკრულების შესაბამისად;	10.2.1 İşbu kredi sözleşmesi nezdinde Kredi müşterisine kredi kullanıracığını,
10.2.2. შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები	10.2.2. Sözleşme nezdinde öngörülen tüm yükümlülükleri yerine getireceğinden yükümlüdür.
10.3. მსესხებელი უფლებამოსილია	10.3. Kredi Müşterisinin hakkı,
10.3.1. მოსთხოვოს ბანკს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება	10.3.1. Bankadan sözleşme nezdinde öngörülen tüm yükümlülüklerin yerine getirilmesini isteyebilir.
10.4. ბანკი უფლებამოსილია	10.4. Bankanın hakkı,

<p>10.4.1. მსესხებლის მიერ ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის შეთხვევაში, ბანკმა მსესხებლის შესახებ არსებული უარყოფითი (ნეგატიური) ინფორმაცია გაავცელოს ანდა განათავსოს საჭიროების მიხედვით;</p>	<p>10.4.1. Kredi müşterisi tarafından sözleşme/sözleşmelerle üstlenilen yükümlülüklerin yerine getirilmemesi durumunda Banka, kredi müşterisi hakkındaki negatif bilgileri ihtiyaca göre kullanma, yayınlama yetkisine sahiptir,</p>
<p>10.4.2. მსესხებლის მიერ ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისას, მსესხებლის საკრედიტო ისტორიის მონაცემები გამოაქვეყნოს ან/და გადასცეს მესამე პირებს ყოველგვარი შეზღუდვისა და ნებართვების გარეშე.</p>	<p>10.4.2. Kredi müşterisi tarafından sözleşme/sözleşmelerle üstlenilen yükümlülüklerin yerine getirilmemesi durumunda, Müşterinin kredi geçmişi ile ilgili bilgileri, izin almadan ve kısıtlamadan yayınlama ve/veya üçüncü şahıslara iletme yetkisine sahiptir.</p>
<p>10.4.3. მოსთხოვოს მსესხებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.</p>	<p>10.4.3. Kredi müşterisinden sözleşme nezdinde öngörülen tüm yükümlülüklerin yerine getirilmesini isteyebilir.</p>
<p>10.5. როგორც ბანკი, ასევე მსესხებელი იღებს ვალდებულებას დაიცვან ერთმანეთის შესახებ მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ასევე გაუფრთხილდნენ ერთმანეთის რეპუტაციას;</p>	<p>10.5. Hem Banka, hem Müşteri, mevcut olan kanun gereğince öngörülen durumlar dışında, kendilerine ait olan bilgileri gizli tutmak ve reputasyonu korumakla yükümlüdürler.</p>
<p>11. წინამდებარე ხელშეკრულებ(ებ)ის პირობების დარღვევა და მხარეთა ურთიერთპასუხისმგებლობა</p>	<p>11. İşbu Sözleşme ve Çerçevesinde Yapılan Diğer Sözleşme Şartlarının İhlali ve Tarafların Sorumlulukları</p>
<p>11.1. ხელშეკრულების მონაწილე თითოეულ მხარეს უფლება აქვს, მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულებ(ებ)ისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება.</p>	<p>11.1. Sözleşme taraflarından her birisi, diğer taraftan, sözleşme şartları ve mevcut olan yasalar gereğince, üstlenilen yükümlülüklerin korunmasını talep etme yetkisine sahiptir.</p>
<p>11.2. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის მიერ, შეთანხმებით ან/და ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, ვადაზე ადრე მოითხოვოს მთლიანი თანხის დაფარვა. აღნიშნულის შესახებ მსესხებელს ეცნობება წერილობით ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე ანდა ელექტრონულ საფოსტო მისამართზე შეტყობინების გაგზავნის გზით.</p>	<p>11.2. Banka, Müşteri tarafından sözleşme gereğince üstlenilen yükümlülüklerin yerine getirilmemesi veya eksik olarak yapılması durumunda, Müşteriye bildirerek sözleşmeyi tek taraftan fesih etme ve kredi borcunu tamamen kapatmasını talep etme yetkisine sahiptir. Tarafların anlaşmasına dayanarak, Banka tarafından sözleşmenin tek taraftan fesih edilmesine dair karar Müşteriye, sözleşmede belirtilen adrese göre veya e-posta ile bildirilir.</p>

<p>11.3. ბანკი უფლებამოსილია საბანკო ოპერაციების წყაროს ან/და საკრედიტო რესურსების ფორმირების ან/და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების ან/და სავალუტო ბირჟაზე ან სხვა საფინანსო ან უძრავი ქონების ბაზარზე ცვლილებების შემთხვევაში, საკრედიტო რისკების ან/და არასასურველი საბანკო შედეგების შემცირების მიზნით, შეცვალოს ხელშეკრულებების პირობები, რომელიც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) საპროცენტო სარგებელს და/ან საკომისიო სარგებელს და/ან სხვა მოსაკრებელსა და ჯარიმებს, პირგასამტეხლოს ოდენობას. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ კლიენტს ეცნობება წერილობით, ასეთი ცვლილებების ძალაში შესვლამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე. ამასთან, ზემოთ მითითებულ ვადაში, კლიენტს უფლება აქვს ბანკთან რაიმე წინასწარი შეთანხმების გარეშე, მიიღოს შეთავაზებული ახალი პირობები ან უარი თქვას საბანკო მომსახურებაზე და ვადაზე ადრე დაფაროს ბანკის წინაშე არსებული ყველა დავალიანება ან კონკრეტული ხელშეკრულების საფუძველზე არსებული დავალიანება. მითითებულ ვადაში, კლიენტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების ვადაზე ადრე სრულად დაუფარაობის შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ კლიენტი თანახმაა მიიღოს ახალი პირობები და ბანკის წერილობითი შეტყობინება ჩაითვლება ხელშეკრულების დამატებად. წინასწარი შეტყობინების ვალდებულება უქმნება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ხორციელდება საკრედიტო ხელშეკრულების პირობების ცვლილება მსესხებლის სასარგებლოდ.</p>	<p>11.3. Banka, Banka kaynaklarının ve/veya Gürcistan'da mevcut olan yasalar gereğince belirlenen koşulların değişmesi ve/veya döviz borsasında veya diğer finansal piyasalarda herhangi bir değişikliğin oluşması durumunda, kredi riskini veya diğer olası olumsuz sonuçları önlemek için, faiz ve/veya komisyon ve/veya diğer cezalar bedelini içeren sözleşme şartlarını değiştirme yetkisine sahiptir. Sözleşme değiştirilmesi ile ilgili karar yürürlüğe girmeden 30 takvim günü önce, Müşteriye yazılı bildirim yapılır. Ayrıca, 30 takvim günü içerisinde, Müşteri, Banka ile herhangi bir ön anlaşma yapmadan, Banka tarafından teklif edilen şartları kabul etme veya reddetme yetkisine sahip olmakla beraber tüm kredi borcunu vadesinden önce kapatabilir. Belirtilen 2 (iki) ay içerisinde, Müşteri tarafından sözleşme gereğince öngörülen kredi borcunun vadesinden önce kapatılmaması durumunda, Müşteri, teklif edilen şartları kabul etmiş gibi sayılıp Bankanın yazılı bildirisini sözleşmenin eki olarak kabul edilecektir. Önceden bildirme yükümlülüğü, sadece Müşterinin lehine kredi sözleşmesinin değişmesi durumunda iptal olarak sayılacaktır.</p>
<p>11.4. ვადადამდგარი გადახდების დადგომისას, ასევე ბანკის მიმართ არსებული ნებისმიერი დავალიანების არსებობის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია, მსესხებლის/თავდების დავალებით ან მისი დავალების გარეშე ჩამოწეროს აღნიშნული თანხები მსესხებლის/თავდების ნებისმიერი ანგარიშიდან (კონვერტაციის უფლების გათვალისწინებით) და წარმართოს აღნიშნული თანხები დავალიანებების დასაფარავად;</p>	<p>11.4. Kredi taksidinin ödeme günü geldiğinde Banka, Müşterinin/Kefilinin herhangi bir hesabından borcu miktarında (Konvertasyon hakkı dahil) para kesme ve borcunu kapatma yetkisine sahiptir.</p>
<p>11.5. ბანკის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე მსესხებელი იღებს ვალდებულებას სხვა მომსახურე ბანკს (ასეთის არსებობისას) წარუდგინოს გადახდის დავალება მისი ნებისმიერი საბანკო ანგარიშიდან თანხის ჩამოწერის (გადარიცხვის) შესახებ. აღნიშნული თანხები მიმართული უნდა იქნას ბანკის მიმართ არსებული დავალიანების დაფარვაზე;</p>	<p>11.5. Bankanın yazılı talebi üzerine, Müşteri, diğer çalıştığı Bankaya (Böyle bir Bankanın olması durumunda) nezdindeki herhangi bir hesabından gerekli miktarda para kesilmesi/havale yapılması üzere ödeme emri vermekle yükümlüdür. Söz konusu para, Müşterinin Bankaya karşı borcunun kapatılması için kullanılacaktır.</p>
<p>11.6. მსესხებელი ვალდებულია აუნაზღაუროს ბანკს მსესხებლის დავალიანების იძულებითი წესით ამოღებისათვის გაწეული ნებისმიერი დანახარჯი და ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შედეგად ბანკზე მიყენებული ზარალი, რომელიც მიადგა ან მიადგება ბანკს წინამდებარე ხელშეკრულებით მსესხებლის მიერ გათვალისწინებული ნებისმიერი პირობის დარღვევით;</p>	<p>11.6. Müşteri, Banka tarafından kredi borcunun ödettilmesi için yapılan masrafları karşılamak ve sözleşme gereğince üstlenilen yükümlülüklerin yerine getirilmemesi nedeniyle, Bankanın gördüğü zararı ödemek ile yükümlüdür.</p>
<p>11.7. ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება ბანკს მსესხებელთან გაფორმებული ხელშეკრულების დარღვევის შედეგად კრებითა და დაემატება ამ ხელშეკრულებით ან სხვაგვარად მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას.</p>	<p>11.7. Müşteri ile Banka arasındaki sözleşme şartlarının ihlal edilmesi neticesinde, Bankaya verilen herhangi bir yetki, iş bu sözleşme nezdindeki belirlenen yetkilere eklenir.</p>
<p>12. დაზღვევა</p>	<p>12. Sigorta</p>
<p>12.1. თუ, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულია დაზღვევის განხორციელება, მსესხებელი ვალდებულია:</p>	<p>12.1. Sözleşme nezdinde, sigorta yapılması şartının belirlenmesi durumunda, Müşteri,</p>

12.1.1. დაზღვევა განახორციელოს ბანკისათვის მისაღებ	12.1.1. Bankanın uygun gördüğü sigorta firmasından sigortayı yapmak,
12.1.2. დაზღვევა განახორციელოს ბანკის მიერ მოთხოვნილი და სადაზღვევო კომპანიის მიერ დადგენილი პირობების დაცვით;	12.1.2. Banka tarafından istenilen ve Sigorta Firmasınınca tespit edilen şartlara istinaden sigortayı yapmak,
12.1.3. დაზღვევის განხორციელების შემთხვევაში სადაზღვევო სერთიფიკატში ბენეფიციარი უნდა იყოს ბანკი;	12.1.3. Sigorta yapılması durumunda, lehdar olarak Bankayı kabul etmek ile yükümlüdür.
12.2. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებლის მიერ სადაზღვევო პრემიის საზღაურის გადახდა არ განხორციელდება დადგენილ ვადებში ბანკი უფლებამოსილია, ხოლო მსესხებელი თანახმაა ბანკმა მსესხებლის ანგარიშებიდან მასზე საკმარისი ნაშთის არსებობის შემთხვევაში ჩამოჭრას სადაზღვევო პრემიის თანხები და მიმართოს სადაზღვევო პრემიის ასანაზღაურებლად;	12.2. Müşteri tarafından, sigorta bedelinin, tespit edilen vadede ödenmemesi durumunda, Banka, Müşteriye ait olan Banka hesabından, yeterli bakiyenin bulunması halinde, sigorta ücretini kesme ve bu şekilde sigorta borcunu kapatırma yetkisine sahiptir. Müşteri Bankanın bu yetkisini kabul eder.
12.3. მსესხებელი/კლიენტი თანახმაა მიმდინარე სადაზღვევო პოლისის ვადის გასვლამდე ბანკმა, მისი დამატებითი თანხმობის გარეშე, მიიღოს ყველა საჭირო ზომა დაზღვევის განახლების მიზნით, რაც მოიცავს კლიენტის საბანკო ანგარიშიდან ნაშთის არსებობის შემთხვევაში თანხის (ყოველწლიური სადაზღვევო პრემია მიმდინარე სასესხო დავალიანების შესაბამისად) სადაზღვევო კომპანიისათვის გადარიცხვას.	12.3. Kredi müşterisi/müşteri sigorta poliçesinin süresinin tamamlanmasından önce Banka müşteriden ilave bir rızası almadan sigortanın yenilenmesine yönelik gerekli tedbirler alması yetkisine sahip olduğunu kabul etmektedir. Gerekli tedbirler müşterinin banka hesabından bakiyesinin olması durumunda tutarın (yıllık prim kalan kredi borcuna göre) sigorta şirketine havale edilmesini kapsamaktadır.
13. ბანკში პრეტენზიების წარდგენის ფორმები და მისი მიღების სტანდარტული პროცედურა	13. Müşteri tarafından Bankaya karşı itirazda bulunma ve Banka tarafından Müşteri itirazını kabul edilmesi standart prosedürleri
13.1. მსესხებლის მიერ წინამდებარე სესხთან დაკავშირებით ბანკში პრეტენზიის წარდგენის ფორმაა ზეპირი ან წერილობითი ფორმა;	13.1. Müşteri yazılı veya sözlü olarak itirazda bulunur,
13.2. მაქსიმალური ვადა წერილობითი პასუხის მიღებისათვის წერილობითი ფორმით გამოხატულ პრეტენზიაზე განისაზღვრება 15 სამუშაო დღით;	13.2. Müşterinin yazılı itirazına cevap verme süresi 15 iş günü olarak belirlenir.
13.3. პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაცია, ასევე, ბანკის პრეტენზიების განხილვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მექანიზმები რეგულირდება ბანკში პრეტენზიების წარდგენის შესახებ დოკუმენტით, რომელიც ხელმისაწვდომია ბანკის ფილიალში (სანაპიროს ქუჩა #6, თბილისი) ყველა დაინტერესებული პირისთვის.	13.3. Müşteri itirazının incelenmesi prosedürleri hakkında bilgiler, ayrıca Kanun gereğince belirlenen diğer mekanizmalar, Bankada mevcut olan (Tiflis, Sanapiro Sok. #6) “Bankaya Karşı İtirazda Bulunma Prosedürleri” ile ilgili yönetmelik nezdinde düzenlenir.
13.4. მსესხებლის პრეტენზიების განხილვას აწარმოებს ბანკის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი (მომხმარებელთა პრეტენზიების განხილვის კომიტეტი);	13.4. Müşteri itirazları, Bankanın birimi olan Müşteri İtirazını İncelenme Komitesi tarafından incelenir.
13.5. მსესხებლის მიერ პრეტენზიის წარდგენა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს ერთ-ერთი საშუალებით: მისამართზე: სანაპიროს ქუჩა #6, თბილისი, საქართველო. ტელ: 2 2943714	13.5. Müşteri, Bankanın bulunduğu adrese göre (Tiflis, Sanapiro Sok. #6) itirazda bulunur. Telefon: 2 2943714
14. სხვა დებულებები	14. Diğer Hükümleri
14.1. ბანკი ვალდებულია ყოველგვარი დამატებითი გადასახდელების გარეშე მსესხებლის მოთხოვნის საფუძველზე, მსესხებელს მიაწოდოს მატერიალური ანდა ელექტრონული ფორმით მინიმუმ შემდეგი სტანდარტული ინფორმაცია:	14.1. Banka, Müşterinin talebi üzerinde, herhangi bir ek ödemeler yapmadan, Müşteriye yazılı olarak veya e-posta ile aşağıdaki bilgileri vermekle yükümlüdür:
14.1.1. სესხის ნაშთი;	14.1.1. Kredi Bakiyesi
14.1.2. სესხის შემდგომი შენატანის ვადა და ოდენობა გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც ეს შეუძლებელია ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენების გამო;	14.1.2. Kredi taksidinin vadesi ve miktarı

14.1.3. სამუდავათო ან სხვა პირობების არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია მათ შესახებ და ამ პირობის გამოყენებისათვის არსებული ვადები და საჭირო შენატანები გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს შეუძლებელია ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენების გამო.	14.1.3. Muafiyet veya diğer şartlar hakkında bilgiler, ayrıca söz konusu şartlardan faydalanması vadeleri ve gerekli taksitler
14.1.4. ხელშეკრულების ასლი, რომელიც შესაძლებლობის შემთხვევაში უნდა იყოს დამოწმებული;	14.1.4. Sözleşmenin bir nüshası (Gerekli olduğu halde onaylı olması gerekmektedir)
14.1.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული განახლებული მომავალი შენატანებისა და გამოტანების დეტალური გრაფიკი, რომელშიც მოცემული უნდა იყოს მინიმუმ შემდეგი ინფორმაცია: ძირითადი თანხა, პროცენტი, ბანკის მიერ დაწესებული სხვა გადასახდელები;	14.1.5. Sözleşme gereğince yenilenen taksitler ve çıkışların detaylı grafiği. Grafikte minimum aşağıdaki bilgilerin yer alması gerekmektedir: ana para, faiz, banka tarafında tespit edilen diğer ödemeler.
14.1.6. განხორციელებული შენატანებისა და გამოტანების დეტალური ამონაწერი, რომელშიც მოცემული უნდა იყოს მინიმუმ შემდეგი ინფორმაცია: ძირითადი თანხა, საპროცენტო განაკვეთი, პროცენტი, ბანკის მიერ დაწესებული სხვა გადასახდელები.	14.1.6. Gerçekleştirilen taksitlerin ve çıkışların detaylı ekstresi, Ekstrede minimum aşağıdaki bilgilerin yer alması gerekmektedir: ana para, faiz, banka tarafında tespit edilen diğer ödemeler.
14.1.7. ბანკი ვალდებულია ყოველგვარი დამატებითი გადასახდელების გარეშე მსესხებლის მოთხოვნის საფუძველზე, მსესხებელს მიაწოდოს მატერიალური ანდა ელექტრონული ფორმით ბანკსა და მსესხებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ასლი.	14.1.7. Banka, Müşterinin talebi üzerinde, her hangi bir ek ödemeler yapmadan, Müşteriye yazılı olarak veya e-posta ile aralarında yapılan sözleşmenin bir nüshasını vermekle yükümlüdür:
15. მხარეთა შორის წარმოშობილი დავების გადაწყვეტა	15. Taraflar Arasındaki Anlaşmazlıkların Çözülmesi
15.1. როგორც წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ასევე მის ფარგლებში გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ასევე მათთან დაკავშირებით წარმოშობილ ნებისმიერ დავას მხარეები საბოლოოდ გადასაწყვეტად გადასცემენ საარბიტრაჟო დაწესებულებას შპს „დავების განმხილველი ცენტრის“, რომელიც დავას განიხილავს მისი საარბიტრაჟო წარმოების წესების შესაბამისად (ს/კ - 204547348; იურიდიული მისამართი ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას 71, მე-4 ბლოკი, 2 სართული, ოფისი 11. ვებ.გვერდი: WWW.DRC.GE).	15.1. İşbu sözleşmeden ve başka ilgili sözleşmelerden kaynaklanan herhangi bir dava, son karara bağlanması maksadıyla LTD “Davaların Çözüm Merkezi” (V/K 204547348, hukuki adres-Tiflis, Vaja-Pşavela cad.71, 4.bl. II kat. ofis 11, web-sayfası- www.drc.ge) tarafından arbitraj kuralları doğrultusunda incelenir.
15.2. სამართალწარმოების ენად განსაზღვრულია ქართული.	15.2. Mahkeme süreci Gürcü dilinde gerçekleştirilecektir.
15.3. არბიტრაჟის ადგილად განსაზღვრულია თბილისი.	15.3. Arbitraj yeri Tiflis'tir.
15.4. მსესხებელი აცხადებს თანხმობას საარბიტრაჟო დავის დაწყებასთან, საარბიტრაჟო განხილვასთან და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებასთან დაკავშირებით გზავნილი, შეტყობინება, უწყება მიიღოს ძირითად ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე და ადასტურებს, რომ ამ მისამართზე ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე ის სრულად და დაბრკოლების გარეშე შეძლებს გზავნილის, შეტყობინების, უწყების მიღებას და ამ მისამართზე ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე გზავნილის, შეტყობინების, უწყების გაგზავნა განხილული უნდა იქნას, როგორც მათი მსესხებლისათვის სათანადო წესით ჩაბარებად მიუხედავად იმისა, მიღებული იქნება თუ არა ტექნიკური ან საკურიერო დასტური გზავნილის, შეტყობინების, უწყების მსესხებლისათვის ჩაბარების შესახებ.	15.4. Kredi müşterisi, arbitraj davasının başlanması, incelenmesi ve arbitraj kararının bildirim ve icrası ile ilgili ter türlü bildirim, bilgi, yazının Genel Kredi Sözleşmesinde açıklandığı adresten alabileceği, gönderilen bildirim, bilgi, yazının açıklanmış adresten veya elektronik postadan alabileceği ve açıkladığı adrese gönderilen bildirim, bilgi, yazının teknik olarak alınmış olarak sayılacağını beyan ve kabul eder.
16. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მისი მოქმედება	16. Sözleşmenin Yürürlüğe Girmesi ve Geçerliliği
16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე.	16.1. Sözleşme, imzalandığı günden itibaren yürürlüğe girecektir ve sözleşme gereğince üstlenilen yükümlülüklerin yerine getirilmesine kadar geçerli sayılır.
17. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველები	17. Sözleşme Feshi Halleri

<p>17.1. ბანკი უფლებამოსილია მსესხებლის მიერ ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში გაუგზავნოს შეტყობინება მსესხებელს და ცალმხრივად ვადაზე ადრე მოსთხოვოს მსესხებელს კრედიტის, მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის, მომსახურების საკომისიოს, საურავის/პირგასამტეხლოს დაუყოვნებლივ სრული ან ნაწილობრივი დაფარვა. მსესხებელი ვალდებულია ბანკიდან ასეთი შეტყობინების მიღების შემდეგ, მასში მითითებულ ვადაში დააბრუნოს საკრედიტო პროდუქტებით მიღებული თანხები, მასზე დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან, მომსახურების საკომისიოს და დარიცხულ საჯარიმო თანხებთან (პირგასამტეხლოს) ერთად. მხარეთა შეთანხმებით, ბანკის მხრიდან ცალმხრივად ხელშეკრულების შეწყვეტის წერილობითი შეტყობინება მსესხებელს ეგზავნება ხელშეკრულების შეწყვეტამდე არაუგვიანეს 14 კალენდარული დღით ადრე.</p>	<p>17.1. Banka, Müşteri tarafından sözleşme gereğince üstlenilen yükümlülüklerin yerine getirilmemesi veya eksik olarak yapılması durumunda, Müşteriye bildirerek sözleşmeyi tek taraftan fesh etme ve kredi hizmetini kesme, ayrıca Bankaya karşı olan borcun(Ana para, tahakkuk ettirilen faiz, komisyon, olması durumunda ceza ve diğer masraflar) tamamen veya kısmen kapatılmasını talep etme yetkisine sahiptir. Müşteri, Bankadan yukarıda adı geçen bildirinin alınmasını müteakip belli bir vade içerisinde (Bildiride gösterilen vade) kredi ürünü olarak kullandığı parayı tahakkuk ettirilen faiz, komisyon ve ceza bedeli ile beraber geri ödemekle yükümlüdür. Tarafların anlaşmasına dayanarak, Banka tarafından sözleşmenin tek taraftan fesh edilmesine dair karar Müşteriye, sözleşmenin feshinden 14 takvim günü önce yazı olarak bildirilir.</p>
<p>17.2. ბანკის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძველს ასევე წარმოადგენს ქვემოთ მითითებული ერთ-ერთი შემდეგი გარემოებების არსებობა, კერძოდ, თუ:</p>	<p>17.2. Aşağıda belirtilen durumlardan birinin ortaya çıkması halinde, Banka tarafından sözleşme tek taraftan fesh edilebilir;</p>
<p>17.2.1. მსესხებელი დაარღვევს ხელშეკრულების ნებისმიერ ვალდებულებას და დაარღვევს დავალიანების დაფარვის ბანკთან შეთანხმებული გადახდის გრაფიკს ზედიზედ ორჯერ მანძ. გრაფიკით გათვალისწინებული თანხის ნაწილობრივი გადახდა არ ჩაითვლება გადახდის გრაფიკის ად;</p>	<p>17.2.1. Müşteri tarafından, sözleşme şartlarından birisinin ihlal edilmesi veya kredi ödeme grafiğinin peş peşe iki sefer bozulması,(Taksidin eksik olarak ödenmesi grafik şartının yerine getirilmesi olarak sayılmamaktadır).</p>
<p>17.2.2. მსესხებელი არ შეასრულებს ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებულ ვალდებულებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს;</p>	<p>17.2.2. Müşteri tarafından, kredi teminatına ilişkin olarak üstlenilen yükümlülüklerin yerine getirilmemesi,</p>
<p>17.2.3. მმართველობითი ორგანოების, სასამართლო ან მსგავსი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ან გამოყენებული ღონისძიება ართულებს ან შეუძლებელს ხდის მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან მისი ვალდებულების დაფარვის მიზნით ქონების განკარგვას;</p>	<p>17.2.3. Yönetim organları, mahkeme veya benzer makamlar tarafından alınan herhangi bir karardan dolayı, kredi Müşterisince üstlenilen yükümlülüklerin yerine getirilmesinin veya kredi teminatı olarak gösterilen malın satışa çıkarılmasının zorlaşması veya imkansız olması,</p>
<p>17.2.4. მსესხებელი ვერ ასრულებს ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრ ნებისმიერ სხვა ვალდებულებას.</p>	<p>17.2.4. Müşteri tarafından sözleşme gereğince üstlenilen yükümlülüklerden herhangi birinin yerine getirilmemesi,</p>
<p>17.2.5. არსებობს მნიშვნელოვანი უარყოფითი ცვლილება მსესხებლის ფინანსურ და/ან ქონებრივ მდგომარეობაში, რამაც შეიძლება ბანკის შეხედულებისამებრ მნიშვნელოვნად გაართულოს ან შეუძლებელი გახადოს მსესხებლის ვალდებულებ(ებ)ის ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული პირობების შესრულება, რაც შეიძლება ბანკის ან სხვა კომპეტენტური მესამე პირების მიერ იყოს დადასტურებული;</p>	<p>17.2.5. Bankanın görüşüne göre veya bu konuda yetkili olan üçüncü şahıs tarafından teyit edildiğine göre, kredi Müşterisinin maddi ve finansal durumunun kötüleşmesi,</p>
<p>17.2.6. ბანკთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე საკრედიტო პროდუქტებით ათვისებული თანხების ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენება მოხდა მისი მიზნობრიობის დარღვევით;</p>	<p>17.2.6. Banka ile anlaşmadan, kredi olarak kullanılan paranın tamamen veya kısmen başka bir amaçla kullanılması,</p>
<p>17.2.7. ნებისმიერი განცხადება ან გარანტია, რომელსაც ადასტურებდა მსესხებელი ან რაც მოცემულია ხელშეკრულებ(ებ)ში, აღმოჩნდება არსებითად არასწორი;</p>	<p>17.2.7. Müşteri tarafından söz edilen garantilerin veya sözleşmede belirtilen maddenin doğru olmaması,</p>
<p>17.2.8. თუ მსესხებელი უარს იტყვის ბანკის წინადადებაზე შეცვალოს ხელშეკრულება ვითარების მნიშვნელოვნად შეცვლის გამო;</p>	<p>17.2.8. Müşterinin, maddi durumunun kötüleşmesinden dolayı, sözleşmenin değiştirilmesi teklifini reddetmesi,</p>

<p>17.2.9. თუ მსესხებელი უარს იტყვის ბანკის წინადადებაზე შეცვალოს საკრედიტო პროდუქტებზე დასარიცხი საპროცენტო სარგებელი ან გაწეული მომსახურეობის საკომისიოს ოდენობა ან საურავის/პირგასამტეხლოს ოდენობა.</p>	<p>17.2.9. Müşterinin, kredi ürünleri üzerinde tahakkuk ettirilen faiz oranını veya verilen hizmet komisyon veya da ceza miktarının değiştirilmesi teklifini reddetmesi.</p>
<p>18. სს საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო</p>	<p>18. KREDİ BİLGİ BÜROSU CREDİTİINFO GÜRCİSTAN A.Ş.</p>
<p>18.1. მსესხებელთან დამატებითი შეთანხმების გარეშე მსესხებლის როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური (ნეგატიური ინფორმაცია გადაეცემა ვადაგადაცილებიდან 30 დღის გასვლის შემდეგ - ფიზიკური პირების შემთხვევაში, ხოლო 60 დღის შემდეგ - იურიდიული პირების შემთხვევაში) ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია გადაეცემა სს საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს (ს/ნ 204470740), რაც იწვევს მსესხებლის აღრიცხვას სს საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში, რომლის მიზანია ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე მონაცემთა შეგროვება, გადამუშავება და გავრცელება, რომელიც დაკავშირებულია გადასახდელი/გადახდილი და გადაუხდელი სესხებისა და სხვა მიმდინარე, შესრულებული და შესრულებელი/ვადაგადაცილებული ფულადი ვალდებულებების სტატუსთან, ასევე ბაზაში არსებული ინფორმაციის ანალიტიკური გადამუშავება კრედიტუნარიანობის შეფასების მიზნებისთვის. სს საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო, რომელიც წარმოადგენს საკრედიტო ბიუროს, უფლება აქვს მიღებული ინფორმაცია დაამუშავოს/გადაამუშავოს და გადასცეს მესამე პირებს, მონაცემთა სუბიექტის კრედიტუნარიანობის/გადახდისუნარიანობის შეფასებისა და შემოწმების მიზნით.</p>	<p>18.1. Müşteriye ilave bir bilgi vermeden, müşterinin hem positif hem negatif (negatif bilgileri gerçek kişiler için kredinin vadesinin geçtiğinden 30 gün geçtikten sonra, tüzel kişiler durumunda ise – 60 gün geçtikten sonra) yükümlülükleri hakkında bilgileri "KREDİ BİLGİ BÜROSU CREDİTİINFO GÜRCİSTAN" A.Ş.'ye (V/N 204470740) bildirilecektir. Bu durumda ödenecek/ödenmiş ve yerine getirilmemiş/geciktirilmiş mali yükümlülüklerin statüsüyle, ayrıca, veri tabanında mevcut olan bilgilerin müşterinin kredibilitesini değerlendirilmesi maksadıyla analitik işlenmesine bağlı olan müşteri ile ilgili bilgileri, gerçek ve tüzel kişiler hakkında bilgilerin toplanması, düzenlenmesi ve yayınlanması maksadıyla "KREDİ BİLGİ BÜROSU CREDİTİINFO GÜRCİSTAN" A.Ş. kredi bilgileri veri tabanında kayıt ettirilecektir. "KREDİ BİLGİ BÜROSU CREDİTİINFO GÜRCİSTAN" A.Ş. kredi bürosu olarak müşterinin kredibilitesi/ödeme gücünün değerlendirilmesi ve kontrol edilmesi maksadıyla alınan bilgilerin işleme ve üçüncü kişilere devretme hakkına sahiptir.</p>
<p>18.2. ასევე, ბანკი უფლებამოსილია გადასცეს მასთან არსებული ინფორმაცია სს საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს, მსესხებლის საკრედიტო ისტორიაში ნებისმიერი ცვლილების/დამატების შესახებ. გადასაცემი ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: მსესხებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე სესხის/ვალდებულებების მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტს, მოქმედების ვადას, მსესხებლის მიერ სესხთან/ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, უზრუნველყოფის ოდენობასა და უზრუნველყოფის საგნის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ხოლო სასამართლო დავის არსებობის შემთხვევაში - სასამართლო სამართალწარმოებისა და სააღსრულებო წარმოების შედეგს, აგრეთვე მსესხებლის აქციონერებისა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების სახელებსა და საიდენტიფიკაციო მონაცემებს და მონაცემთა ბაზისთვის საჭირო სხვა მონაცემებს.</p>	<p>18.2. Ayrıca, Banka, elindeki müşterinin kredi geçmişinde herhangi bir değişiklik/ilaveler hakkındaki bilgilerin "KREDİ BİLGİ BÜROSU CREDİTİINFO GÜRCİSTAN" A.Ş. bildirme yetkisine sahiptir. Bildirilecek bilgiler, herhangi bir kısıtlama olmadan Müşterinin kimlik bilgileri, mevcut olan kredi/yükümlülük miktarı, kredi amacı, tahakkuk ettirilen miktar, geçerlilik süresi, Müşterinin taksit ödemelerinin zamanı, borç bakiyesi, teminat ile ilgili bilgiler, mahkeme/arbitraj davanın bulunması halinde, mahkeme ve icra sürecinin sonuçları, ayrıca Müşterinin ortakları ve temsil yetkisi olan kişiler hakkındaki ve veri tabanı için gerekli olan bilgileri içermektedir.</p>
<p>19. პირგასამტეხლო და მისი გაანგარიშების წესი</p>	<p>19. Ceza ve Hesaplama Kuralları</p>
<p>19.1. პირგასამტეხლოს ოდენობა და მისი გაანგარიშების წესი დადგენილია წინამდებარე ხელშეკრულებით.</p>	<p>19.1. Ceza miktarı ve hesaplanması kuralları iş bu sözleşme nezdinde belirlenmiştir.</p>

<p>19.2. თუ მსესხებელი დაავიანებს ან არ გადაიხდის კრედიტის დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში ამავე გრაფიკით გათვალისწინებულ თანხას, ბანკი უფლებამოსილია დაარიცხოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს ვადაგადაცილების პირგასამტეხლო ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობით.</p>	<p>19.2. Müşteri tarafından, kredi grafiği gereğince belirlenen vade içerisinde, kredi taksidini geciktirdiği veya ödemediği takdirde, banka, sözleşme gereğince belirlenen miktarda, gecikmesi cezasını ödetmeye yetkisine sahiptir. Müşteri bankanın bu yetkisini kabul eder.</p>
<p>19.3. ბანკის თანხმობის საფუძველზე კრედიტის თანხა შეიძლება დაიფაროს კრედიტის დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებზე ადრეც, მაგრამ ამ შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია დაარიცხოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს წინსწრებით გადახდის პირგასამტეხლო ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობით.</p>	<p>19.3. Bankanın izni ile, Müşteri kredi borcunu, kredi grafiği gereğince belirlenen vadeden önce de kapatılabilir. Ancak, banka, sözleşme gereğince belirlenen miktarda, önceden kapatma cezasını ödetmeye yetkisine sahiptir. Müşteri bankanın bu yetkisini kabul eder.</p>
<p>19.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მსესხებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ისაგან.</p>	<p>19.4. Müşteri tarafından cezanın ödenmesi, sözleşme şartlarından muaf olması anlamına gelmemektedir.</p>
<p>20. ფორს-მაჟორი</p>	<p>20. Doğal Felaketler</p>
<p>20.1. მხარეები დროებით თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებებისაგან, თუ ისინი გამოწვეული არის ფორს-მაჟორული გარემოებების გამო. კერძოდ: წყალდიდობით, მიწისძვრით, ხანძრით, სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით, სახელმწიფო ორგანოების აქტებით ან ქმედებით;</p>	<p>20.1. Taraflar, doğal felaketlerden dolayı doğan durumlarda üstlenilen sorumluluklardan muaf tutulur. (Doğal felaket olarak, sel, deprem, yangın, askeri hareket, abluka, devlet organları tarafından çıkarılan protokol veya hareket sayılır.)</p>
<p>20.2. მხარეების მიერ ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.</p>	<p>20.2. Taraflarca üstlenilen yükümlülüklerin yerine getirilmesi, doğal felaketlerin etkilerinin ortadan kalkmasına kadar ertelenecektir.</p>
<p>21. შეტყობინებების/გზავნილის მიწოდება</p>	<p>21. Bildirim/yazının gönderilmesi</p>
<p>21.1. მსესხებელი აცხადებს თანხმობას ბანკისაგან გზავნილი, შეტყობინება, უწყება მიიღოს ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე და ადასტურებს, რომ მითითებულ მისამართზე ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე ის სრულად და დაბრკოლების გარეშე შეძლებს გზავნილის, შეტყობინების, უწყების მიღებას და ამ მისამართზე ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე გზავნილის, შეტყობინების, უწყების გაგზავნა განხილული უნდა იქნას, როგორც მათი მსესხებლისათვის სათანადო წესით ჩაბარებად მიუხედავად იმისა, მიღებული იქნება თუ არა ტექნიკური ან საკურიერო დასტური გზავნილის, შეტყობინების, უწყების მსესხებლისათვის ჩაბარების შესახებ.</p>	<p>21.1. Kredi müşterisi, bankadan ter türlü bildirim, bilgi, yazının işbu Sözleşmede açıklandığı adresten ve/veya elektronik postadan alabileceği ve Bankadan gönderilen ter türlü bildirim, bilgi, yazının açıklanmış adresten veya elektronik postadan kesintisiz alabileceğini ve açıkladığı adrese gönderilen bildirim, bilgi, yazının kredi müşterisine teslim edilmesi ile ilgili herhangi bir onay, yazıyı teslim almadan teknik olarak alınmış olarak sayılacağını beyan ve kabul eder.</p>
<p>21.2. მსესხებლის ადგილსამყოფელზე გაგზავნილი წერილები და შეტყობინებები ითვლება მის მიერ მიღებულად მიუხედავად იმისა, მისი რეალური ადგილსამყოფელი ემთხვევა თუ არა წერილის გაგზავნის დღეს ბანკისათვის ცნობილ მის მისამართს, თუ ახალი ადგილსამყოფელის და იქ გადასვლის თარიღის შესახებ მსესხებელი წერილობით წინასწარ არ აცნობებს ბანკს;</p>	<p>21.2. Müşterinin Bankaya bildirmiş olduğu adrese yapılan gönderimler, bildirimler, müşteri tarafından adres değişikliği yönünde herhangi başka bir bildirim yapılmadığı sürece tebliğ edilmiş sayılır.</p>

<p>21.3. მსესხებელი ადასტურებს, რომ ის შეუფერხებლად იყენებს ამ ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტას და ამ ფოსტის გაუმართაობის, შეფერხებულად მუშაობის, მასთან წვდომის დაკარგვის ან სხვა გარემოებათა გამო ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების/გზავნილის მიუღებლობის ან მიღებული ელექტრონული შეტყობინების/გზავნილის ნახვის შეუძლებლობის ყველა ნეგატიურ შედეგზე მხოლოდ თვითონაა პასუხისმგებელი. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი დაკარგავს წვდომას ელექტრონულ ფოსტასთან, შეიცვლის ელექტრონული ფოსტის მისამართს ან დაკარგავს ელექტრონული ფოსტაზე წვდომის პაროლს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ბანკს და ასევე იმავედროულად მიუთითოს ალტერნატიული ელექტრონული ფოსტის მისამართის შესახებ. ამ ვალდებულების დარღვევა საკმარისი საფუძველია ბანკმა ვადამდე მოითხოვოს კრედიტების სრულად დაფარვა და უარი განაცხადოს ახალი საკრედიტო პროდუქტების გაცემაზე.</p>	<p>21.3. Müşteri, işbu sözleşmede açıklanan elektronik posta ve cep telefonlarının kullandığını ve elektronik postanın ve/veya cep telefonun arızası, ulaşılmaması veya değişik sebeplerden dolayı elektronik postaya ve/veya cep telefona yazının/ bildirinin alınmaması veya alınan yazının/bildirinin görmesinin mümkün olmadığından meydana gelen her türlü negatif sonuçların sorumluluğu kendisine ait olduğunu kabul ve beyan eder. Müşteri tarafından elektronik postaya veya cep telefona ulaşamaması, elektronik posta adresinin ve/veya cep telefon numarasının değiştirilmesi veya elektronik posta parolasının kaybedilmesi durumunda Müşteri, Bankaya bilgi vermekle ve alternatif elektronik posta adresi ve cep telefon numarasının bildirmekle yükümlüdür.</p>
<p>20. 22. სხვა დებულებები</p>	<p>22. Diğer Hükümler</p>
<p>22.1. საზედამხედველო ორგანო სს ზირაათ ბანკის საქართველოს საზედამხედველო ორგანოს წარმოდგენს საქართველოს ეროვნული ბანკი. საქართველოს ეროვნული ბანკის მისამართია თბილისი, სანაპიროს ქუჩა N2</p>	<p>22.1. Denetim organı Ziraat Bank Gürcistan A.Ş. denetim organı – Gürcistan Merkez Bankasıdır. Gürcistan Merkez Bankasının adresi: Tiflis, Sanaporo Sok. N2</p>
<p>22.2. ხელშეკრულებების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას;</p>	<p>22.2. Sözleşme taraflarından birisince sözleşme gereğince tanınan yetkinin kullanılmaması, bu yetkiden vazgeçme anlamına gelmemektedir</p>
<p>22.3. ხელშეკრულებების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა დებულებების ბათილობას;</p>	<p>22.3. Sözleşmelerindeki herhangi bir maddesinin feshi, tüm sözleşmelerin veya diğer maddelerinin feshi anlamına gelmemektedir.</p>
<p>22.4. იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდა, რომ ხელშეკრულება არ შეიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი „კომერციული ბანკების მიერ საბანკო მომსახურების გაწევისას მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების“ წესით გათვალისწინებულ ინფორმაციას ან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მსესხებლისათვის არ ხორციელდება ინფორმაციის დადგენილი წესის მიხედვით მიწოდება, ეს არ შეიძლება გახდეს აღნიშნული ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი.</p>	<p>22.4. Sözleşmede, Gürcistan Merkez Bankasının “Özel Bankalar tarafından Bankacılık Hizmeti Verildiğinde Müşteriye Gerekli Bilgilerin İletilmesi” ile ilgili Yönetmelik gereğince belirlenen bilgilerin yer almaması veya sözleşme yapıldıktan sonra Müşteriye gerekli bilgilerin iletilmemesi, sözleşmenin feshinin sebebi olmayacaktır.</p>
<p>22.5. მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილი იქნეს ცვლილებები და დამატებები;</p>	<p>22.5. Taraflar arasındaki yazılı anlaşmaya dayanarak, sözleşmelerde değişiklik veya ekler yapılabilir.</p>
<p>22.6. მსესხებლის ადგილსამყოფელზე გაგზავნილი წერილები და შეტყობინებები ითვლება მის მიერ მიღებულად მიუხედავად იმისა, მისი რეალური ადგილსამყოფელი ემთხვევა თუ არა წერილის გაგზავნის დღეს ბანკისათვის ცნობილ მის მისამართს, თუ ახალი ადგილსამყოფელის და იქ გადასვლის თარიღის შესახებ მსესხებელი წერილობით წინასწარ არ აცნობებს ბანკს;</p>	<p>22.6. Müşterinin Bankaya bildirmiş olduğu adrese yapılan gönderimler, Müşteri tarafından adres değişikliği yönünde herhangi başka bir bildirim yapılmadığı sürece tebliğ edilmiş sayılır.</p>
<p>22.7. ბანკი უფლებამოსილია, მსესხებლის თანხმობის გარეშე, ხელშეკრულებების და მის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული გარიგებებით გათვალისწინებული თავისი უფლებები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა (მესამე) პირებს;</p>	<p>22.7. Banka, Müşterinin izni olmadan, sözleşme ve teminatlarla ilgili anlaşmalar gereğince belirlenen hakları tamamen veya kısmen üçüncü şahıslara devretme yetkisine sahiptir.</p>

<p>22.8. მსესხებლის მიერ ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისას, ბანკი ასევე უფლებამოსილია მსესხებლის საკრედიტო ისტორიის მონაცემები გამოაქვეყნოს ან/და გადასცეს მესამე პირებს ყოველგვარი შეზღუდვისა და ნებართვების გარეშე.</p>	<p>22.8. Banka, Müşteri tarafından, sözleşme gereğince üstlenilen yükümlülüklerin yerine getirilmemesi durumunda, Müşterinin kredi geçmişi ile ilgili bilgileri, izin almadan ve kısıtlamadan yayınlama ve/veya üçüncü şahıslara iletme yetkisine sahiptir.</p>
<p>22.9. ხელშეკრულებების დადების მომენტისათვის არსებული გარემოებების ან იმ გარემოებების, რომლებიდანაც გამოდიოდნენ მსესხებელი და ბანკი ხელშეკრულების დადების მომენტში, მნიშვნელოვნად შეცვლის შემთხვევაში, რაც თავის მხრივ ასევე მოიცავს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას, ბანკს აქვს უფლება გაუზიაროს მსესხებელს წერილობითი წინადადება ამ ხელშეკრულების პირობების შეცვლასთან დაკავშირებით 2 (ორი) თვით ადრე (წერილობით, ელექტრონულად, სმს-ის საშუალებით). მსესხებელი ადასტურებს რომ წერილობითი წინადადების მისაღებად შესაძლებელია გამოყენებული იქნეს შეტყობინების მიწოდების ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ფორმა.</p>	<p>22.9. Sözleşmenin yapıldığı anda, mevcut olan durumun önemli bir şekilde değişmesi halinde (Faiz değişikliği), Banka, Müşteriye sözleşme değişikliği ile ilgili bildiriği 2 (iki) ay önce, Müşterinin uygun gördüğü şekilde (Yazılı, elektronik ve SMS) gönderme yetkisine sahiptir.</p>
<p>22.10. ვალდებულების შესრულებისას მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონმდებლობით და მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით;</p>	<p>22.10. Taraflar, üstlenilen yükümlülüklerin yerine getirilmesi esnasında, Gürcistan'da geçerli olan yasa gereğince faaliyet gösterirler.</p>
<p>22.11. წინამდებარე ხელშეკრულება მისი ვალდებულებებითა და სარგობით ვრცელდება მხარეთა შესაბამის შემკვიდრებზე და მონაცვლეებზე, მაგრამ მსესხებელს ბანკისგან განსხვავებით უფლება არა აქვს გადასცეს ან გადაბაროს მთლიანად ან ნაწილობრივ მესამე პირს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება ბანკის წერილობითი თანხმობის გარეშე.</p>	<p>22.11. İş bu sözleşme gereğince belirlenen yükümlülükler, tarafların kanuni mirasçıları için de geçerlidir, ancak Müşteri, Bankadan farklı olarak, kendi yükümlülüklerini, Bankanın izni olmadan, üçüncü kişilere devretme yetkisine sahip değildir.</p>
<p>22.12. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მსესხებელი ბანკს ანიჭებს უფლებას მიიღოს მსესხებლის პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაცია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან.</p>	<p>22.12. İş bu sözleşme gereğince, Müşteri, Bankaya, kendisi hakkında bilgileri Devlet Hizmetleri Gelişim Ajansından alma yetkisini devretmektedir.</p>
<p>22.13. მსესხებლისთვის ცნობილია, რომ ბანკი ვალდებულია თავდებობის/სოლიდარული პასუხისმგებლობის ხელშეკრულების მონაწილე მხარისათვის, ასევე იპოთეკის და/ან გირავნობის საგნის მესაკუთრისათვის ხელმისაწვდომი გახადოს მსესხებელთან გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების თავსართისა და მოთხოვნის შემთხვევაში ხელშეკრულების ასლები იმავე ფორმით, რა ფორმითაც გაფორმებულია მსესხებელთან და აღნიშნული ვალდებულების თაობაზე მსესხებელი წინასწარ გაფრთხილებულია.</p>	<p>22.13. Banka, kefil/müteselsil kefil sözleşmesinde yer alan tarafa ayrıca, ipotek ve/veya rehin konusu olan mal sahibine kredi müşterisiyle yapılan kredi sözleşmesinin başlık kısmının ve istendiği takdirde sözleşmenin nüshalarının sözleşmenin imzalandığı şeklinde vermekle yükümlüdür. Bu yükümlülüğü hakkında kredi müşterisine bilgi önceden verilmiştir.</p>
<p>22.14. სესხის გადაუხდელობის შემთხვევაში მსესხებლის მიმართ გამოყენებული იქნება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული იძულებითი ღონისძიებები.</p>	<p>22.14. Kredinin kapatılmaması durumunda size karşı yürürlükte olan mevzuatlarla belirlenmiş kanuni tedbirler alınacaktır</p>
<p>22.15. წინამდებარე ხელშეკრულების ქართულ ენოვანი ტექსტი უპირატესი იურიდიული ძალის მქონეა. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგანაც ერთი გადაეცემა მსესხებელს, ერთი რჩება ბანკში.</p>	<p>22.15. İşbu sözleşme Gürcüce ve Türkçe olarak düzenlenmiştir. Gürcü dilindeki metin öncelikli sayılır. Gürcüce metni ile diğer dilindeki metin arasında uyumsuzluk olması durumunda, Gürcü dilindeki metin öncelikli sayılır. İşbu sözleşme iki (2) nüsha olarak düzenlenmiştir. Bunlardan bir nüshası Müşteride, diğeri de Bankada kalacaktır.</p>
<p>23. დანართები</p>	<p>23. Ekler</p>
<p>23.1. კრედიტის გადახდის (დაფარვის) გრაფიკი.</p>	<p>23.1. Kredi Ödeme Grafiği</p>

მხარეთა ხელმოწერები / Taraflar:

ბანკი / Banka

მსესხებელი/ Müşteri

- / -

-